

ISSN 2233-3606

საქართველოს პიზნესის მაცნეორებათა აკადემია  
GEORGIAN ACADEMY OF BUSINESS SCIENCES

სამაცნეორო-პრაკტიკული ჟურნალი

მოამბე  
XXXI  
MOAMBE

SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE

თბილისი 2018 TBILISI

„მოამბე” გამოდის 1995 წლიდან  
„MOAMBE” IS PUBLISHED SINCE 1995

სტატიები მიღება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერ-ვალი სტრიქონებს შორის 1.5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხეული მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა 2.5 და 2.5 სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG ფორმატში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვერდი A4 ფორმატის.
2. ავტორის სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო კოორდინატები (ტელეფონები, ელ-ფოსტა), სურათის ელექტრონული ვერსია JPEG-ში
3. სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე. მოცულობით 120-150 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად AcadNusx-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12, სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.
4. სტატია შეიძლება გამოქვეყნდეს ინგლისურ, რუსულ, გერმანულ ენებზეც. ასეთ შემთხვევაში, ჩვენი მოთხოვნაა რეზიუმე მოგვაწოდოთ ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტატიის გამოქვეყნების ლირებულება შეადგენს: უურნალის ერთი გვერდი 6 ლარი, რომელსაც ავტორი გადაიხდის დადებითი რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო უურნალის ლირებულება 5 ლარი.

სტატიების გადმოგზავნა შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:

mariizoria@mail.ru;

ტელეფონები: 231 14 75; 593 239 958

ვებ-გვერდი: [www.sbma.ge](http://www.sbma.ge)

Continues taking articles according to this requests:

1. Text must be gathered in Word, size of AcadNusx font 12, interval between lines – 1.5; borders in right and left side – 3 and 2 sm. Also, up and down borders – 2,5 and 2,5 sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEG. The minimal size of article is Spages of A4 format.
  2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail), electronic version of photo in JPEG.
  3. The article must have reziume in Georgian and English languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in AcadNusx and in Times New Roman, size of font – 12. Scientific article must have list of used literature.
  4. The article may be published in English, Russian, German languages. So, it is also our request to prepare reziume in Georgian and English languages too.
- The price of article's publication is one page of Journal 6 Gel (lari). And author will pay this price after getting positive respond. Also, the price of Journal is 5 GEL (lari).

E-mail: [mariizoria@mail.ru](mailto:mariizoria@mail.ru);

Tel: 231 14 75; 593 239 958

[www.sbma.ge](http://www.sbma.ge)

საქართველოს პიზნესის მაცნეორებათა აკადემია დაფუძნდა 1995 წლის 23 მარტს. აკადემია საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციაში გაატარა 1995 წლის 9 აპრილს, რეგისტრაციის სერტიფიკატის №1982

THE GEORGIAN ACADEMY OF BUZINESS SCIENCES WAS ESTABLISHED ON MARCH 23, 1995. THE ACADEMY WAS REGISTERED ON APRIL 9, 1995 BY MINISTRY OF GEORGIA (CERTIFICATE #1982)

**„მოამპე“  
საერთაშორისო რაფერილებადი და რეცენზილებადი  
სამაცნიარო ქურნალი, №31, 2018 წელი**

თემატიკური პრესუაჟის განვითარების მიზანის და სარე-  
დაქციო კოლეგიის თავმჯდომარე,  
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, საქართველოს ბიზნესის  
მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი,  
ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე.

**სარედაქციო კოლეგია  
მაცნიარებათა დოკტორები, პროფესორები**

აბესაძე რამაზი, აბრალავა ანზორი, ასათიანი როზეთა, პაპუნაშვილი გიორგი (აშშ), ბაკაშვილი ნიკოლოზი, ბარათაშვილი ევგენი, ბერიძე თემორაზი, გვალია ნარგიზი, გოგონება რევაზი, გველესიანი მერაბი, გეჩხაია გადრი, დანელია თამაზი, დათაშვილი ვახტაგი, ელიავა ლია, იზორია მარინა, კუნძულია თამაზი, კურთანიძე დავითი (აშშ), კუშუხიძე რომანი, კვალიაშვილი ვაზა, კვაშილავა ალექსანდრე, კობაიძე თამაზი, ლაპარატყავა გულთაზი, ლეონიძეავა აარმენი, ლორზანიძე გივი, ლეკაშვილი ეპა, მალაშვილი გიორგი, მეგვარიშვილი ელგუჯა, ნადირაშვილი გაიოზი, ნარმანია დავითი, ნადარია ნუგზარი, ჰაიჭაძე ნუგზარი, როკოტლიშვილი მიხეილი (აშშ), სილაგაძე ავთანდილი (საქ. ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი), უგრეხელიძე მინდია, ქარჩავა ლოიდი, ძეგლაშვილი რმარი, ყიფიანი გელა, ყუფუნია გურამი, ყოლღანაშვილი ლარისა, შენგელია თაიგურაზი, შენგელია რევაზი, ჩილეაძე ნიკო, ჭითანავა ნოდარი, ჭუმურიძე მამია, ხადური ნოდარი, ხარაპაძე ელენე, ხელაშვილი იოსე-ზი, ჯავახიშვილი რევაზი, მამედოვი ფიზული (აზერბაიჯანის რესპუბლიკა), მელნიკი ტატიანა (უკრაინა), სერქაბანი ნაიკი (სომხეთი), ალირზავა ალი (აზერბაიჯანის რესპუბლიკა), ბორზიდოვა ტატიანა (ბელორუსია), ალუხანოვი ესპერერი (ყაზახეთის რესპუბლიკა), გალინა ლოპუშნია (უკრაინა), ზალენი-ენი ინგა (ესტონეთი), ვლოვენკო ნატალია (უკრაინა), მიხეილ ვარჩოლა (სლოვაკეთი), მალინა კუზმენკო (უკრაინა).

**„MOAMBE“**  
**QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC MAGAZINE,**  
**PRECISED AND REVIEWED №31, 2018**

**TEIMURAZ BABUNASVILI**- Editor-in-Chief and Head of Editorial Board,  
Doktor of Economic Sciense, President of  
Georgian Academy of Business Science,  
Honored citizen of Tbilisi

**EEDITORIAL BOARD**  
**D o c t o r s o f s c i e n c e , P r o f e s s o r s**

ABESADZE RAMAZI, ABRALAVA ANZORI, ASATIANI ROZETA, BABUNASHVILI GIORGI (USA), BAKASHVILI NIKOLOZI, BARATASHVILI EVGENI, BERIDZE TEIMURAZI, GVALIA NARGIZI, GOGOKHIA REVADI, GVELESIANI MERABI, GECHBAIA BADRI, DATASHVILI VAXTANGI, DANELIA TAMAZI, ELIAVA LIA, IZORIA MARINA, KUNCHULIA TAMAZI, KURTANIDZE DAVITI (USA), KUCHUKHIDZE ROMANI, KVALIASHVILI VAJA, KVASHILAVA ALEKSANDRE, KOBAIDZE TAMAZI, LABARTKAVA GULTAZI, LEMONJAVA PARMENI, LOBJANIDZE GIVI, LEKASHVILI EKA, MALASHKHIA GIORGI, MEQVABISHVILI ELGUJA, NADIRASHVILI GAIOZI, NARMANIA DAVITI, NADARAIA NUGZARI, PAICHADZE NUGZARI, ROKETLISHVILI MIKHEILI (USA), SILAGADZE AVTANDILI (Member of Georgian national Academy of Science), UGREKHELIDZE MINDIA, KARCHAVA LOIDI, KESHELASHVILI OMARI, KIFIANI GELA, KUFUNIA GURAMI, KORGANASHVILI LARISA, SHENGELIA TEIMURAZI, SHENGEGLIA REVADI, CHIKHLADZE NIKO, CHITANAVA NODARI, CHUMBURIDZE MAMIA, KHADURI NODARI, KHARABADZE ELENE, KHELASHVILI IOSEBI, JAVAKHISHVILI REVADI, MAMEDOVI FIZULI (AZERBAIDJAN), MELNIKI TATIANA (UKRAINA), SERKHAIANI NAIKI (ARMENIA), ALIRZAEVI ALI (AZERBAIDJAN), BORZDOVA TATIANA (BELORUSIA), ALUKHANOVI ESSBERGI (KAZAKHSTAN), GALINA LOPUSHNIAK (UKRAINA), ZALENIENI INGA (ESTONIA), VDOVENKO NATALIA (UKRAINA), VARCHOLA MICHAL (SLOVAKIA), GALINA KUZMENKO (UKRAINA).

# შინაარსი

<b>1. ლუარა გვაჯაია</b>	<b>7</b>
ინოვაციური პროექტების შემუშავება და შეფასება	
<b>2. მანანა გზედლიშვილი</b>	<b>10</b>
საქართველოში საპესიო ცისტების რეფორმის სტატისტიკური კვლევის ანალიზი	
<b>3. გუგული ყურავვილი</b>	<b>14</b>
სოციალური დაზღვევის პროგლემატური საკითხები საქართველოში	
<b>4. გიორგი კეპულაძე</b>	<b>17</b>
სილარიზის სოციოლოგიური თეორია	
<b>5. მაია ჩიჩელავვილი, ლაშა ჯინჯიხაძე</b>	<b>22</b>
სტეპანლელერთა თეორიიდან საზოგადო ღირებულებათა რეალიზაციამდე	
<b>6. გარე რუსიშვილი</b>	<b>25</b>
ენერგეტიკულ კომპანიებს პროცესებზე ორიენტირებული მართვა სჭირდებათ	
<b>7. იაკობ კაპანეაძე</b>	<b>28</b>
ქართული მუხის (Quercus iberica Stev.) კორომებში ჰუნებრივი განახლების კვლევის შედეგები ქვემო ქართლის რეგიონში	
<b>8. ნინო ცერცვაძე</b>	<b>32</b>
EQ-ემოციური ინტელექტი – კარიერული წინსვლის გასაღები	
<b>9. ბაქარ გვაზავა</b>	<b>36</b>
თანამედროვე საკარლამანო მემორიალის და საქართველო	
<b>10. ოთარ ზალიკავვილი</b>	<b>39</b>
პენტენციური დანაშაულობების სამართლებრივი ანალიზი	
<b>11. ГУРАМ МАРХУЛИЯ</b>	<b>43</b>
ВОПРОСЫ ВНЕШНЕЙ ПОЛИТИКИ АРАБСКИХ ГОСУДАРСТВ	
<b>12. МАРИНА ИЗОРИЯ</b>	<b>59</b>
ОСТРОВ ТОКТО В ЯПОНО-КОРЕЙСКИХ ОТНОШЕНИЯХ	
<b>13. ირმა მოლამხია</b>	<b>64</b>
საერთაშორისო კომპანიების კონკურენციული უპირატესობები (ამერიკუ- ლი კორპორაციის Apple მაგალითზე)	
<b>ურნალი „ეკონომიკა“ 100 ლეისაა</b>	<b>63</b>

# CONTENTS

<b>1. LUARA GVJAJA .....</b>	<b>7</b>
Develop and Evaluate Innovative Projects	
<b>2. MANANA MCHEDLISHVILI .....</b>	<b>10</b>
Analysis of Statistical Research of Reform of the Pension System in Georgia	
<b>3. GUGULI KURASHVILI .....</b>	<b>14</b>
Problems of Social Insurance in Georgia	
<b>4. GIORGI KEPULADZE.....</b>	<b>17</b>
Poverty Sociological Theory	
<b>5. MAIA CHECHELASHVILI, LASHA JINJIKHADZE .....</b>	<b>22</b>
From the Stakeholders' Theory to the Realization of Public Values	
<b>6. BACHO RUSISHVILI .....</b>	<b>25</b>
Energy Companies Need Process Oriented Management	
<b>7. IAKOB KAPANADZE .....</b>	<b>28</b>
The research results of the Georgian Oak natural reneval in Kvemo Kartli region	
<b>8. NINO CERCVADZE .....</b>	<b>32</b>
EQ-Emotional intelligence - the Key to Career Advancement	
<b>9. BAQAR GVAZAVA .....</b>	<b>36</b>
Modern Parliamentary Government and Georgia	
<b>10. OTAR ZALIKASHVILI .....</b>	<b>39</b>
Legal Analysis of Penitential Offence	
<b>11.GURAM MARKHULIA .....</b>	<b>43</b>
Foreign policy issues of Arab States	
<b>12. MARINA IZORIA .....</b>	<b>59</b>
Island Tokto In Japan-Korean Relations	
<b>13. IRMA MOLASHKHIA .....</b>	<b>64</b>
Competitive advantages of international companies (On the example of American Corporation Apple)	
<b>THE MAGAZINE “ECONOMICS” IS 100 YEARS OLD .....</b>	<b>68</b>

## ინოვაციური პროექტის შემუშავება და შეფასება

### ლუარა გვაჯაია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი

ინოვაციური პროექტი წარმოადგენს რთულ სისტემას, ურთიერთგანპირობებულს და ურთიერთდაკავშირებულს რესურსების, ვადებისა და ღონისძიებათა შემსრულებლების მიხედვით, რომელიც მიმართულია მეცნიერებისა და ტექნიკის პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად კონკრეტული მიზნების მიღწევისაკენ.

ინოვაციური პროექტის ერთერთი ფორმაა კვლევები, რომელშიც მოიაზრება კვლევებისა და დამუშავებების გეგმა, გამიზნული სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური მნიშვნელობის აქტუალური თეორიული და პრატიკული ამოცანების გადაწყვეტისაკენ, მასში ხდება ტექნიკური, ეკონომიკური გადაწყვეტილებების დასაბუთება. იდეებს, ჩანაფიქრებს, ტექნიკურ გადაწყვეტილებებს და მათი სარეალიზაციო პროექტებს გააჩნიათ სხვადასხვა სახის სამეცნიერო-ტექნიკური მნიშვნელობა და აქედან გამომდინარე საქმე გვაქვს სხვადასხვა სახის ინოვაციურ პროექტებთან, როგორიცაა :

- **სამოდერნიზაციო,** როდესაც პროდუქციის კონსტრუქცია, ან მისი საბაზო ტექნოლოგია კარდინალურად არ იცვლება;

- **ნოვატორული -** ახალი პროდუქციის კონსტრუქცია თავისი ელემენტების სახეების მიხედვით არსებითად განსხვავდება ადრეარსებულისაგან;

- **ნინმსწრები -** როდესაც კონსტრუქცია დაფუძნებულია ნინმსწრებ ტექნიკურ გადაწყვეტილებებზე, რაც ადრე არ ყოფილა გამოყენებული;

- **პიონერული -** როდესაც შედეგად ვლებულობთ ადრე არ არსებულ მასალებს, ტექნოლოგიას, კონსტრუქციას, რომლებიც ასრულებენ დამატებით ახალ ფუნქციებს (ასეთი იყო პირველი რადიომიმღებები, ელექტრონული საათები, პერსონალური კომპიუტერები, რაკეტები, ატომური სადგურები, ბიოტექნოლოგიები და მრავალი სხვა);

**გადასაწყვეტი ამოცანების მასშტაბურობის** თვალსაზრისით ინოვაციური პროექტები იყოფა შემდეგ სახეებად :

- **მონოპროექტები -** ასეთ პროექტებს, როგორც წესი, ასრულებსერთი ორგანიზაცია ან მასში შემავალი სტრუქტურა, იგი ისახავს

ერთი მიმართულების ინოვაციურ მიზანს (კონკრეტული ნაწარმის ან ტექნოლოგიის შემუშავება, რომელიც სრულდება შემცირებული ვადებისა და ფინანსური დანახარჯების ჩარჩოებში);

- **მულტიპროექტები -** წარმოდგენილია კომპლექსური პროგრამის სახით, რომელიც აერთიანებს ათეულობით მონოპროექტს და გამიზნულია ისეთი ინოვაციური მიზნების განსახორციელებისათვის, როგორიცაა სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსების შექმნა, მსხვილი ტექნოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა;

- **მეგაპროექტები -** მრავალმიზნობრივი კომპლექსური პროგრამებია, რომელიც აერთიანებს მთელ რიგ მულტიპროექტს და ასობით მონოპროექტს, დაკავშირებულს ერთმანეთთან დასმული ამოცანის გადაწყვეტასთან . ასეთი პროექტებით შეიძლება მიღწეული იქნეს ისეთი ინოვაციური მიზნები, როგორიცაა, დარგის ტექნიკური გადაიარაღება, რეგიონების ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა, სამამულო პროდუქტებისა და ტექნოლოგიების კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

მეგაპროექტების ფორმირება და რეალიზაცია მოითხოვს რიგი დარგების, რეგიონების, საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების, მსხვილი კორპორაციების ძალების გაერთიანებას, ასეთო პროექტები შეიძლება იყოს მოკლევადიანი (1-2 წ), საშუალო (5-ლამდე) და გრძელვადიანი (5 წლის ზევით).

ინოვაციური პროექტები შედგება შემდეგი ძირითადი განყოფილებებისგან :

- პრობლემის (იდეის) შინაარსი და აქტუალურობა ;

- პროექტის მიზნების ჩამონათვალი (მიზნების ხე „), რომელიც შედგენილი იქნება მარკეტინგული კვლევების და პრობლემის სტრუქტურიზაციის საფუძველზე;

- ღონისძიებათა სისტემა პროექტის „მიზნების ხის“ სარეალიზაციოდ;

- პროექტის რეალიზაციის უზრუნველყოფა;

- პროექტზე საექსპერტო დასკვნა;

- პროექტის რეალიზაციის მექანიზმი და მოტივაციის სისტემა.

ნებისმიერი პროექტის შემუშავება- რეალიზაციის სასიცოცხლო ციკლს გააჩნია თავისი ფაზები, რომელიც იყოფა ორ ჯგუფად: **წინასაინვესტიციო და საინვესტიციო ფაზებად.**

წინასაინვესტიციო ფაზა მოიცავს პროექტის წინასაინვესტიციო გამოკვლევებს და დაგეგმვას, დოკუმენტაციის შემუშავებას და მისი რეალიზაციისათვის მზადებას. აღნიშნული ითვალისწინებს პროგნოზირებას, არსებული პირობების გაანალიზებით პროექტის კონცეფციის შემუშავებას, ინვესტიციის წინასაპროექტო დასაბუთებას, ეკოლოგიურ დასაბუთებას და პროექტის ექსპერტიზას ინვესტირებაზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

საინვესტიციო ფაზა მოიცავს კონტრაქტების გაფორმებას, პროექტის რეალიზაციას, პროექტის დასრულებას.

**პროექტის შექმნისა და რეალიზაციის პროცესი შედგება შემდეგი ეტაპებისგან:**

- საინვესტიციო ჩანაფიქრის (იდეის) ფორმირება;
- საინვესტიციო შესაძლებლობების გამოკვლევა;
- პროექტის ტექნიკურ -ეკონომიკური დასაბუთება;
- საკონტრაქტო დოკუმენტაციის მომზადება;
- სამშენებლო - სამონტაჟო სამუშაოები;
- ობიექტის ექსპლუატაცია;
- ეკონომიკური მაჩვენებლების მონიტორინგი .

საინვესტიციო პროექტის ინვესტირებისათვის გამოიყენება ინვესტიციების შემდეგი ფორმები:

- ფულადი საშუალებები და მათი ექვივალენტები ( მიზნობრივი შენატანები , საბრუნავი საშუალებები, ფასიანი ქაღალდები ( აქციები , ობლიგაციები,) კრედიტები და სხვა  
• მიწა ;
- შენობა-ნაგებობები, მანქანა დანადგარები, აღჭურვილობა და ინსტრუმენტები, წარმოებაში გამოყენებული ნებისმიერი ქონება;
- საკუთრებითი უფლებები, შეფასებული ფულად ექვივალენტები.

საინვესტიციო შესაძლებლობების გამოკვლევა ითვალისწინებს პროდუქციაზე მოთხოვნის წინასწარ შესწავლას ექსპორტიმპორტის გათვალისწინებით, პროდუქციის საბაზო, მიმდინარე და საპროგნოზო ფასების

დონეების შეფასებას, ინვესტიციის საჭიროების მოცულობის დადგენას და კომერციული ეფექტიანობის წინასწარ შეფასებას, საინვესტიციო შესაძლებლობების დასაბუთებას და სხვა.

იმ შემთხვევაში , როდესაც ინვესტორის საჭიროება არ არსებობს და ყველა სამუშაოს შესრულების შესაძლებლობა ორგანიზაციას გააჩნია, რა თქმა უნდა , მიღება გადაწყვეტილება პროექტის მომზადება -რეალიზაციის ფინანსირების თაობაზე.

პროექტის ტექნიკურ - ეკონომიკური დასაბუთების ეტაპი ითვალისწინებს: ფართომასშტაბიანი მარკეტინგული კვლევების ჩატარებით, პროდუქციის გამოშვების პროგრამის შედგენას , ფინანსური პროგრამის შედგენას, რომელშიც გათვალისწინებული იქნება პროექტის განხორცილებასთან დაკავშირებით საჭირო ყველა ფინანსური ხარჯი, ასევე პროექტის განხორცილებასთან დაკავშირებული ყველა რისკის შეფასებას, პროექტის განხორცილების ვადების დაგეგმვას, პროექტის კომერციული ეფექტიანობის შეფასებას და სხვა.

სამეწარმეო ფირმის ინოვაციური საქმიანობის რისკის შესამცირებლად აუცილებელია პირველ რიგში ჩატარდეს ინოვაციური პროექტის გულდასმითი შეფასება. ინოვაციური პროექტი შესაძლოა ერთი საწარმოსთვის იყოს ეფექტიანი, ხოლო მეორისათვის აღმოჩნდეს არაეფექტიანი სხვადასხვა აბიექტური და სუბიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, როგორიცაა, საწარმოს ტერიტორიული ადგილმდებარება, პერსონალის კომპეტენციის დონე, ძირითადი ფონდების მდგომარეობა და ა.შ. . ყველა ეს ფაქტორი გავლენას ახდენს ინოვაციური პროექტის რეზულტატიანობაზე, მაგრამ მათი ხარისხობრივი შეფასება საკმაოდ რთულია, ზოგ შემთხვევაში შეუძლებელიც კი, ამიტომ ისინი უსათუოდ გათვალისწინებული უნდა იქნეს წინასწარ, პროექტის არჩევის სტადიაზე. რამდენადაც თითოეულ საწარმოს გააჩნია ინოვაციური პროექტის ეფექტიანობაზე მოქმედი საკუთარი ფაქტორები, არ არსებობს პროექტის შეფასების უნივერსალური სისტემა, მაგრამ რიგი ფაქტორებისა საერთოა საწარმოთა უმრავლესობისათვის. აქედან გამომდინარე გამოყოფენ ინოვაციური პროექტის შეფასების გარკვეულ ფაქტორებს და მათზე დაყრდნობით ახდენენ პროექტის შეფასებას.

ინოვაციური პროექტის რეალიზაცი-

ისათვის პრიორეტიტულად და მხარდასაჭ-  
ერად სახელმწიფოს მხრიდან ითვლება ის  
პროექტები, რომლებიც ორიენტირებულია  
საბოლოო სოციალურ-ეკონომიკურ შედეგე-  
ბზე, პრიორიტეტულ მიმართულებეზე, რომ-  
ლებიც უმეტესწილად რეალიზებას უკეთე-  
ბენ სახელმწიფო სოციალურ-ეკონომიკურ  
პოლიტიკას- ეს მთელი ქვეყნის ეკონომიკუ-  
ისათვის უმიშვნელოვანესია, ისინი აუცილე-  
ბელია ყველა შემდგომ , დაბალი იერარქიის  
დონეზე, სადაც წყდება ცალკეული სოციალ-  
ურ-ეკონომიკური ამოცანები და პრობლემე-  
ბი, სამეცნიერო- ეკონომიკური მიმართულე-  
ბები, სახელმწიფო სამეცნიერო- ტექნიკური  
პრობლემები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფორმუ-  
ლირდება კრიტერიუმების სისტემა, რო-  
მელიც იძლევა საშუალებას შეფასდეს ნე-  
ბიექტიური ინოვაციური პროექტისროლი  
საბოლოო მიზნების მიღწევაში და გამოყ-  
ენებული უნდა იქნეს ეს ინფორმაცია ასეთი  
პროექტების სარეალიზაციოდ რესურსების  
შესაბამისად განაწილებისათვის.

ინოვაციური პროექტის ძირითადი კრი-  
ტერიუმებია :

- 1- საწარმოს მიზნები, სტრატეგია, პოლი-  
ტიკა და ფასეულობები;
- 2 - მარკეტინგი - (პროდუქტის შესაბამ-  
ისობა ბაზრის მოთხოვნებთან, ბაზრის წილის

შეფასება, კონკურენტების შეფასება, ახალ  
პროდუქტებზე მოსახლეობის შეხედულება  
და სხვა);

3- სამეცნიერო -კვლევითი და საცდელ  
საკონსტრუქციო სამუშაოები - საწარმოს  
ინოვაციური სტრატეგიის შესაბამისო-  
ბა პროექტთან, სამეცნიერო- ტექნიკური  
რესურსების არსებობა და სხვა;

4 - ფინანსური - პროექტის შემუშავების  
ღირებულება, საწარმოს დანახარჯები, მარ-  
კეტინგული კვლევების ღირებულება, ფი-  
ნანსური რესურსების არსებობა, მოსალოდ-  
ნელი მოგების ნორმა და სხვა.

5 - წარმოება ( საწარმოს სამეცნიერო-  
საწარმოოს პერსონალის რიცხოვნობის და  
კვალიფიკაციის შესაბამისობა ინოვაციური  
პროექტის რეალიზაციის უზრუნველსაყო-  
ფად, საწარმოს სიმძლავრეებთან შესაბამ-  
ისობა, წარმოების უსაფრთხოების დონე და  
სხვა).

ესპერტების მიერ ინოვაციური პრო-  
ექტის სრულად შეფასებისათვის საჭიროა  
თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი პოზი-  
ციის (კრიტერიუმის) შეფასება, საერთო  
შეფასების მაჩვენებლიდან გამომდინარე  
პროექტის ეფექტიანობის განსაზღვრა და  
გადაწყვეტილების მიღება პროექტის რეალ-  
იზაციის თაობაზე.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. В. Г. Медынский. Инновационный менеджмент. 2007;
2. а. აბრალავა, ლ. გვაჯაია, რ. ქუთათელაძე. საინოვაციო მენეჯმენტი. 2015;
3. გალახვარიძე, თ. ზარგინავა, ე. ბარათაშვილი. ინოვაციათა მენეჯმენტი. 2015.

## რეზიუმე

სტატიაში განხილულია ინოვაციური პროექტების არსი და სახეები, პროექტის შემუშავების წინასაინვესტიციო და საინვესტიციო ფაზები; გაანალიზებულია ინოვაციური პროექტის შექმნისა და რეალიზაციის ეტაპები, ჩამოყალიბებულია ინოვაციური პროექტის შეფასების ძირითადი კრიტერიუმები.

## ABSTRACT

The article deals with the essence and types of innovative projects, pre-investment and investment phases of the project development; The milestones of the development and realization of the innovative project are analyzed, and the main criteria of the innovative project evaluation are established.

## საქართველოში საპენიო სისტემის რეფორმის სტატისტიკური კვ-ლევის ანალიზი

### მანანა მჭედლიშვილი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ეკონომიკის დოქტორი

**შესავალი.** მსოფლიოს წარმატებულ ქვეყანათა უმრავლესობის ერთ ერთი მიზანი არის, მოქალაქეთა სოციალური დაცვა. თითქმის ყველა დემოკრატიული ქვეყანა აღიარებს ადამიანთა სოციალური უფლებების დაცვას. სოციალური დაცვის სისტემაზე საუბრისას განვიხილოთ საპენიო დაზღვევის სისტემა, რომელიც არა მარტო სოციალური დაცვის სისტემისთვის, არამედ მთლიანად ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს რგოლს წარმოადგენს, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეებისთვის ღირსეული ცხოვრების შექმნას.

საპენიო სისტემის სამი მთავარი მოძელი არსებობს: 1. საპენიო სისტემის სოლი-დარულ პრინციპზე დამყარებული მოძელი-გულისმობს საპენიო გასაცემლის დაფინანსებას შრომისუნარიანი მოსახლეობის გადახდების (სადაზღვევო შენატანები, გადასახადები) გზით. როდესაც სახელმწიფო პირდაპირი გზით ბიუჯეტიდან აფინანსებს საპენიო გასაცემელს. 2. საპენიო უზრუნველყოფის დაგროვებით პრინციპზე დამყარებული მოძელი-პენიონის ოდენობა ამ შემთხვევაში დამოკიდებულია საპენიო შენატანის სიდიდესა და საპენიო ფონდის მიერ განხორციელებულ საინვესტიციო მოგებაზე. 3. შერეულ პრინციპზე დამყარებული მოძელი გულისხმობს გარკვეულ ბალანსს სოლიდარულ და დაგროვებით სისტემასთან მიმართებაში და საპენიო უზრუნველყოფის სისტემაში სახელმწიფო და კერძო სექტორის ერთობლივ თანაარსებობას.

კვლევის ანგარიში. კვლევის შედეგად უნდა დავადგინოთ რამდენად პოზიტიური მოლოდინები არსებობს ქართულ საზოგადოებრივ სივრცეში. რამდენად არის საზოგადოება მზად საპენიო სისტემის რეფორმისათვის. დღეისათვის ქვეყანაში დიდ პრობლემას ინფლაცია წარმოადგენს. მართალია პენია მიახლოვებულია საარსებო მინიმუმთან (ამჟამად პენია შეადგენს 180 ლარს, ხოლო საარსებო მინიმუმი 170 ლარს), თუმცა, სახლემნიფო პენია ინფლაციის მიმდინ-

არ პროცესის ფონზე არ წარმოადგენს სილარიბის აღმოფხვრიკენ მიმართულ ბერკეტს. საჭიროა პენისის ინდექსაციის მექანიზმის შემუშავება. ბოლო წლებში საპენიო ხარჯები მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2015 წელს 1,3 მილიარდ ლარს მიაღწია, რაც მშპ-ს 4,25 %-ის ტოლფასია. აღნიშნული მძიმე ტვირთს წარმოადგენს სახელმწიფო ეკონომიკისთვის. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს მთავრობის მიერ წარმოადგენილი დაგროვებითი პენისის პროექტი საკამაოდ მკვეთრ ცვლილებებს ითვალისწინებს, გადაწყვიტეთ რესპონდენტის ინდივიდუალურ შეხედულებებზე ორიენტირებული მეთოდი შეგვერჩია. რესპონდენტთა ასაკობრივი მოცულობა განისაზღვრა 18-35 წლამდე. რომელიც 5 ასაკობრივ ჯგუფად დავყავით: 18-19 წელი, 22-23 წელი, 24-25 წელი, 29-30 წელი და 34-35 წელი. თითოეული ასაკობრივი ჯგუფიდან შევარჩიეთ ორ-ორი რესპონდენტი, (თითოეული კატეგორიიდან გამოიკითხა ორი განსხვავებული სქესის ადამიანი). მთლიანობაში გამოვკითხეთ 10 რესპონდენტი. ეს ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ მონაცემები ყოფილიყო უფრო რეპრეზენტაციული და არა ერთგვაროვანი. კვლევის შედეგებში რესპონდენტთა ვინაობა არის ანონიმური და გამოყენებულია მხოლოდ მათი შეხედულებები. კვლევისთვის ნინასნარ განსაზღვრული ძირითადი კითხვები შემდეგნაირად იყო მოდიფიცირებული: რა იცით საქართველოში ამჟამად არსებული საპენიო სისტემის შესახებ? (პირველ კითხვაზე პასუხის არცოდნის შემთხვევაში ვაწვდიდით ინფორმაციას), მოგწონთ თუ არა ამგვარი სისტემა? გსმენიათ თუ არა ინდივიდუალური დაგროვებითი საპენიო დაზღვევის შესახებ? (მესამე კითხვაზე უარყოფითი პასუხის შემთხვევაში კვლავ ვაწვდიდით ინფორმაციას), რამდენად მისაღებია თქვენთვის ამგვარი საპენიო სისტემა? რომელ სისტემაზე გააკეთებდით არჩევანს? გაძლევთ თუ არა თქვენი ამჟამინდელი მატერიალური მდგომარეობა სამუალებას, ჩაერთოდ ამგვარ საპენიო სისტემაში და გააკეთოთ დანაზოგი? თქვენი აზრით,

უნდა იყოს თუ არა ორივე სისტემა თანაბრად ხელმისაწვდომი და არჩევადი?

კვლევის ანალიზი. პორველი ასაკობრივი კატეგორიიდან გამოვკითხეთ ორი სტუდენტი, რომელთა შეხედულებები ამ კითხვაზე იყო: არცერთმა მათგანმა კონკრეტულად არ იცოდა, როგორი სისტემა მუშაობს ამჟამად ქვეყანაში; როდესაც ავუჩხენით, პასუხები გაიყო და ერთერთს სისტემის არსი მოეწონა, ხოლო მეორემ აღნიშნა, რომ მსგავსი სისტემა ადამიანებში აჩენს უსამართლობის გრძნობას, რადგან შეიძლება მთელი ცხოვრების განმავლობაში იმუშაო და პენსია 200 ლარი გქონდეს მაშინ, როცა ვიღაც საერთოდ არ მუშაობს და მასაც თითქმის მსგავსი პენსია აქვთ; მესამე კითხვაზე ორივე რესპონდენტისგან დადგებითი პასუხი მოვიდეთ, თუმცა აზრთა სხვადასხვაობა იყო მეოთხე კითხვაზე, რესპონდენტი რომელსაც მოსწონს ამჟამინდელი სისტემა, ამბობდა, რომ სახელმწიფომ ყველას სიბერე ერთნაირად უნდა უზრუნველყოს და თუ კი ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში მუშაობს, შეუძლია თავად დააგროვოს კაპიტალი. ყველა მოქალაქე თანასწორია და სიბერე ყველას უზრუნველყოფილი უნდა ჰქონდეს. მეორე რესპონდენტისათვის მისაღები და სამართლიანია დაგროვებითი სისტემა. მეხუთე კითხვაზე, ლოგიკურია, რომ პირველმა რესპონდენტმა დააფიქსირა პასუხი: „ავირჩევდი ამჟამინდელ სისტემა“, მეორემ კი უპირატესობა დაგროვებითს მიანიჭა. მეექვსე და მეშვიდე კითხვებზე რესპონდენტებმა მსგავსი პასუხები გაგვცეს: ორივე უმუშევარია, ამოტომაც ამჟამინდელი მდგომარეობა არცერთს არც აძლევს სამუალებას, ჩაერთოს დაგროვებითი სისტემის პროგრამაში, ხოლო რაც შეეხება არჩევითობას-ორივეს აზრით უნდა არსებობდეს არჩევანის თავისუფლება. მესამე ასაკობრივ კატეგორიაშიც წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების თანახმად შეირჩა ორი რესპონდენტი, რომელთა გამოკითხვამაც მოგვცა შემდეგნაირი პასუხები: ორივე მათგანს ჰქონდა ინფორმაცია ამჟამინდელი და დაგროვებითი საპენსიო სისტემის შესახებ. არცერთ მათგანს არ მოსწონს დაგროვებითი სისტემა, რადგანაც, მათივე თქმით, ქვეყანაში უმუშევრობა იმდენად მაღალია, რომ მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი ფიზიკურად ვერ მოახერხებს სისტემაში ჩართვას და პენსიის დაგროვებას. შესაბამისად, ორივე მათგანი ემხრობა ამჟამინდელი მოდელის არსებობას. მიუხედავად იმისა, რომ

ორივე მათგანი დასაქმებულია და მათი მატერიალური მდგომარეობა აძლევს საშუალებას ჩაერთონ პროგრამაში. ბოლო კითხვაზეც ორივე რესპონდენტმა გვიპასუხა, რომ არჩევანის საშუალება, რა თქმა უნდა უნდა არსებობდეს; მესამე ასაკობრივი კატეგორიიდანაც, წინა ორის მსგავსად შეირჩა ორი რესპონდენტი. პირველ კითხვაზე ერთერთმა გვიპასუხა, რომ მხოლოდ ის იცოდა, თუ რა რაოდენობის თანხას იღებენ პენსიონერები, თუმცა სისტემის არსით არასდროს დაინტერესებულა, ხოლო მეორე რესპონდენტმა ზუსტად იცოდა, თუ რა სისტემით გაიცა პენსია საქართველოში ამ ეტაპზე. როდესაც პირველ რესპონდენტს ავუჩხენით, რაში მდგომარეობდა სისტემის არსი. გვიპასუხა, რომ მსგავს სისტემას არ მიესალმებოდა, რადგანაც ამ ეტაპზე ქვეყანაში მცხოვრები პენსიონერების უმრავლესობა ის ადამიანები არიან, ვინც ყოფილ საბჭოთა კავშირში ცხოვრობდნენ და უმეტესობა დასაქმებული იყო, თუმცა თანამედროვე პირობებში უმუშევრობა ძალიან დიდი პრობლემაა და არ ისურვებდა, რომ ადამიანს, რომელიც ცხოვრების დიდი ნაწილი უმუშევარია და ადამიანს. ვინც მთელი ცხოვრება მუშაობდა, ერთნაირი პენსია ქონდეთ; მეორე რესპონდენტის აზრით კი სწორედ უმუშევრობის პრობლემაა ის ფაქტორი, რის გამოც მოსწონს ამჟამინდელი სისტემა და შესაბამისად, არ მიესალმება მის შემოთავაზებულ ალტერნატივას; დაგროვებითი სისტემის შესახებ ორივე რესპონდენტს ჰქონდა ინფორმაცია: პირველი ეთანხმებოდა მსგავსი სისტემის შემოღებას, ხოლო მეორეს აზრით, ჩვენს სოციალურ რეალობაში ეს სისტემა ბევრად უსამართლოა, ვიდრე ამჟამად არსებული; მეხუთე კითხვაზე რესპონდენტებმა შემდეგნაირად გვიპასუხეს: პირველი რესპონდენტი, ალტერნატივის შემთხვევაში, აირჩევდა დაგროვებით სისტემას, ხოლო მეორე ამჟამინდელს; მეექვსე კითხვით გაირკვა, რომ პირველი რესპონდენტი იყო დასაქმებული, ხოლო მეორე უმუშევარი, თუმცა ორივე ფიქრობენ, რომ უნდა არსებოდეს არჩევანის თავისუფლება-ადამიანმა უნდა ისარგებლოს იმ საპენსიო სისტემით, რომელიც მას ურჩევნია; მეოთხე ასაკობრივ კატეგორიაში შერჩეულმა ორივე რესპონდენტმა მსგავსი პასუხები გაგვცა: ორივე მათგანს მოსწონს დაგროვებითი სისტემა და მას აირჩევდა; აღმოჩნდა რომ ორივე რესპონდენტი დასაქმებული იყო, თუმცა ისიც აღნიშნეს, რომ ხელფასები ნამდვილად არაა

მაღალი ან ნორმალური ცხოვრებისთვის საჭიროც კი, ამიტომ დაგროვებითი სისტემა არ უნდა დააწვეს დასაქმებულებს მძიმე ტვირთად; ასევე, მსგავსი პასუხები მოვცეს ბოლო კითხვაზეც-მათი აზრით, ყველასთვის არსებობდეს ერთი კონკრეტული საპენსიო სისტემა; ბოლო ასაკობრივ კატეგორიაში გამოკითხულმა ორივე რესპონდენტმა იცოდა საპენსიო სისტემების შესახებ; პირველ რესპონდენტს არ მოსწონს ამჟამინდელი სისტემა და ფიქრობს, რომ სხვა დასავლური ქვეყნების მსგავსად, ჩვენთანაც დაგროვებითი სისტემა უნდა მუშაობდეს. ამიტომაც ის დაგროვებით სისტემას აირჩივდა, თუმცა ისიც აღნიშნა, რომ არასტაბილურობის განცდა აქვს და მაინც დაფიქრდებოდა არჩევაზე-ხომ არ არის საფრთხე, რომ მისი საპენსიო ასაკის მიღწევისას რაღაც დიდი ცვლილება მოხდეს და დაგროვებითი პენსია „წყალში ჩაეყაროს“, მეორე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ამჟამინდელი სისტემა დასახვენია, თუმცა, დაგროვებითს მაინც ამჟამინდელი ურჩევნია, ისევ ჩვენი ქვეყნის მძიმე სოციალური ფონიდან გამომდინარე. შესაბამისად, ის არჩევის შემთხვევაში, ამჟამინდელ პროგრამას მიანიჭებდა უპირატესობას. როგორც აღმოჩნდა, მეორე რესპონდენტი უმუშევარი იყო და მისი ამჟამინდელი მდგრამარეობა არც აძლევდა საშუალებას დაგროვებითი სისტემით ესარგებლა. თუმცა ფიქრობს, რომ არჩევანის საშუალება უნდა იყოს.

**დასკვნა.** ათივე რესპონდენტთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ ისინი მეტ-ნაკლებად გარკვეული იყვნენ საპენსიო სისტემებში. რესპონდენტების აზრი ორად გაიყო: ხუთი

მათგანი უპირატესობას ანიჭებს ამჟამინდელ სისტემას, ხუთი კი დაგროვებითს. თუმცა, ინტერვიუებმა ცხადყო, რომ დაგროვებითი სისტემის მოწინააღმდეგების მთავარი არგუმენტი ქვეყანაში უმუშევრობის მაღალი დონე იყო და მისი აღმოფხვრის შემთხვევაში, ათი მათგანიდან შვიდი დაგროვებით სისტემას აირჩივდა. კვლევის შედეგი უფრო ნათელი რომ იყოს, ნარმოვადგენთ პრობლემათა შესაძლო გადაჭრის ხერხებს: 1)ეკონომიკური სიდუხჭირე, 2)სანდოობის ნაკლებობა-რაც გამომდინარეობს ქვეყნის გამოცდილებიდან, კერძოდ საბჭოთა ანაბრების დაკარგვა, რამაც მნიშვნელოვნად იმოქმედა საზოგადოების ნდობის ხარისხზე და შემთხვევაში ჩაუწერგა მათ საკუთარი ფულის გრძელვადიან პერსპექტივაში დაბანდებასთან დაკავშირებით; 3)ინფორმაციის სრული პაკეტის არ არსებობა სისტემასთან მიმართებაში, 4)უმუშევრობა, 5)დაგროვებითი საპენსიო სისტემა არ უნდა იყოს სავალდებულო ხასიათის-რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ადამიანს მძიმე ტვირთად არ უნდა დააწვეს საპენსიო შენატანი და მან თავად უნდა განსაზღვროს სურს თუ არა მისი გადახდა;

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ არსებული რეალობა ხელს უშლის საპენსიო სისტემის იმგვარ რეფორმას, როგორიც იგეგმება. თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ ამჟამად არსებული საპენსიო სისტემა იდეალურად ერგება საზოგადოების ინტერესებს. თუმცა, ესტონეთმა, რომელსაც მსგავსი პრობლემები გააჩნდა 1990 -იან წლებში, შეძლო საპენსიო სისტემის ნარმატებული რეფორმირება, რაც იმედის მომცემია.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბრუნი ბ, ჭითანავა მ. მოსახლეობის დაბერება და სანდაზმულობა საქართველოში. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ფონდი. 207. [Link](#)
2. დემნა დევდარიანი. საპენსიო სისტემის რეფორმის მიმდინარეობის ანალიზი. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. 2016. [Link](#)
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. 2016. ანგარიში: საქართველოს საპენსიო რეფორმა. თბილისი: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. [Link](#)
4. ვერულავა, თენგიზ. სადაზღვევო საქმის საფუძვლები. თბილისი: ჯანდაცვისა და დაზღვევის ცენტრი, 2017. [Link](#), Google Scholar
5. Estonia. Encyclopedia Britanica. 2018. [Link](#)

## რეზიუმე

საქართველოში არსებული საპენსიო სისტემა, მიმდინარე დემოგრაფიული დაბერების ფონზე, გარევეულნილად ნაკლოვანია სამომავლო პერსპექტივაში, რაც ამ სისტემის ცვლილების აუცილებლობაზე მიუთითებს. შემუშავებულია საპენსიო სისტემის რეფორმირების კონცეფცია. კვლევის მიზანია დავადგინოთ რამდენად პოზიტიური მოლოდინები არსებობს ქართულ საზოგადოებრივ სივრცეში საპენსიო სისტემის რეფორმირების თვალსაზრისით ან რამდენად არის საზოგადოება მზად ამგვარი ცვლილებისთვის. თვისობრივი კვლევის ფარგლებში განხორციელდა სიღრმისეული ინტერვიუები. გარდა ამისა, განხორციელდა საპენსიო სისტემის რეფორმირებასთან დაკავშირებული მონაცემების სტატისტიკური ანალიზი. საქართველოში არსებული პრობლემები გავლენას ახდენენ საპენსიო სისტემის რეფორმირების პროცესზე. აუცილებელია ეკონომიკური კრიზისის გადაჭრის გზების დასახვა, უმუშევრობის პრობლემის მოგვარება, საპენსიო სისტემის რეფორმირებაზე მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლება.

## SUMMARY

Pension system is one of the most important parts of state's social policy. In Georgia population is ageing and the share of pensioners in total population is going to rise significantly. Therefore, the pressure on state budget will rise and it will be much difficult to provide pensions that are sufficient to protect elderly people against the risk of poverty. That is why the issue of pension system reform in Georgia is becoming more relevant.

## სოციალური დაზღვევის პროგლემატური საკითხები საქართველოში

**გუგული ყურაშვილი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,  
ასოცირებული პროფესორი**

სადაზღვევო ინდუსტრია წარმოადგენს ნებისმიერი წარმატებული ეკონომიკის არსებით შემადგენელ ნაწილს. ეკონომიკისა თუ ისტორიის მრავალი მკვლევარი აღიარებს მჭიდრო კავშირს მყარ სადაზღვევო ბაზარსა და ეფექტიან ეკონომიკურ განვითარებას შორის.

დაზღვევის მიზანია დაუბრუნოს დამზღვევს ისეთი მატერიალური მდგომარეობა, რომელიც ის იმყოფებოდა რისკის რეალიზებამდე. იგი დაკავშირებულია სარისკო შემთხვევების ფინანსურ შედეგთა დაძლევასთან

დაზღვევა ზარალის ფინანსურ კომპენსაციასთან ერთად საქმიანი აქტივობის დიდი სტიმულია, რაც ხორციელდება სადაზღვევო კომპანიების განკარგულებაში არსებული დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების ინვესტირებით. სადაზღვევო ფონდის არსებობის წყალობით ყოველ ცალკეულ მეწარმეს შეუძლია უფრო ნაკლებ ფასად შეიძინოს სადაზღვევო დაფარვა, ვიდრე ის დანახარჯებია, რომლებიც მას უნდა გაეწია საკუთარი სარეზერვო ფონდის ფორმირების შემთხვევაში.

დაზღვევის პრობლემატიკის აქტუალობა ნათლად ვლინდება სადაზღვევო ურთიერთობათა სუბიექტების: დამზღვევისა და მზღვეველის ძირითად ეკონომიკურ ინტერესებში. პირველის მოთხოვნას სადაზღვევო პრემიის სანაცვლოდ რისკებისაგან დაცვა ანუ მათი რეალიზების შემთხვევაში წარმომაბილი ზარალის სრული და დროული ანაზღაურება წარმოადგენს, ხოლო მეორის მისწრაფება დროებით თავისუფალი სადაზღვევო შენატანების ინვესტირების ფართო სპექტრით.

მოგების მაქსიმიზაციას გულისხმობს. მაშასადამე, პირველისათვის დაზღვეულისაგან "მთავარი მონაპოვარი" მატერიალური მდგომარეობის შენარჩუნებით განპირობებული "სულიერი სიმშვიდეა", ხოლო მეორისათვის მოგების სტაბილური ზრდით მიღწეული "ფინანსური ეფექტი".

უმუშევრობის, ავადმყოფობის, უბედური შემთხვევის და ა.შ. რისკებისაგან დაცვა კერძო დაზღვევის მეშვეობით საზოგადოების განსაზღვრული ნაწილისათვის მიუწდომე-

ლია მათი შემოსავლებისა და სადაზღვევო პრემიის თანაფარდობიდან გამომდინარე. ასეთ შემთხვევაში რისკების რეალიზაციის

შედეგების აღმოფხვრას სოციალური დაცვის სისტემა არეგულირებს, რომელიც ეფუძნება "დაზღვევის", "უზრუნველყოფისა" და "ზრუნვის" პრინციპებს.

სოციალური დაზღვევის დროს სადაზღვევო შენატანები, ერთის მხრივ, არ არიან ორიენტირებული ინდივიდუალური რისკების ალბათობაზე, ხოლო მეორეს მხრივ, სადაზღვევო ანაზღაურება ხორციელდება მათზე არამაცრი დამოკიდებულებით. სოციალური დაზღვევა, ინდივიდუალური და კერძო დაზღვევის საპირისპიროდ, დამზღვევთათვის არც რისკს გამორიცხავს და არც დახმარებას. იგი განსაკუთრებული რისკების "მუქარის" ქვეშ მყოფ ეკონომიკურად გადამხდელუნარო ადამიანებს დამატებითი სადაზღვევო შენატანების გარეშე აზღვევს.

უზრუნველყოფის პრინციპის გამოყენებისას წარმოიშობა მომსახურების, შეღავათების ან დახმარების განევის პრეტენზიები არა სადაზღვევო შენატანების საფუძველზე, არამედ სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის.

ზრუნვის პრინციპის მიხედვით კი საზოგადოების წევრებს მეტად მძიმე ეკონომიკური მდგომარეობისა და ზარალის შემთხვევაში ეძლევათ სახელმწიფო მატერიალური ან/და ფულადი დახმარება მათი სადაზღვევო შენატანებისაგან დამოუკიდებლად.

განვითარებულ ქვეყნებში სადაზღვევო ბაზრის ლიბერალიზაციამ და დერეგულირებამ მისი მოცულობა და მაშასადამე, პოტენციური კონკურენტების რაოდენობა გაზარდა, კონკურენცია უფრო ინტენსიური გახდა, რაც სადაზღვევო ორგანიზაციებს უკეთესი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისაკენ უბიძგებს.

საქართველოს მსოფლიო განვითარების პროცესში ჩართვა ობიექტურად განაპირობებს ეკონომიკურ ტრანსფორმაციას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაცია. აღნიშნულის გადაწყვეტა-

ში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს სადაზღვევო ბაზრის ფუნქციონირების სწორად წარმართვაში.

საქართველოში საბაზრო ურთიერთობების ფორმირებისა და განვითარების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სრულყოფილი სადაზღვევო ურთიერთობების ჩამოყალიბებას, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას და შესაბამისად, მსოფლიო სადაზღვევო სისტემაში ჩართვას. დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობისა და განვითარების ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პროგრამების წარმატებით განხორციელება შეუძლებელია მყარი საფინანსო სისტემის გარეშე, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს სადაზღვევო ურთიერთობების საბაზრო ეკონომიკასთან ადაპტირებული სისტემის შექმნა.

ცივილიზებული სადაზღვევო ურთიერთობების ფორმირების ერთ-ერთი უმთავრესი პირობა სადაზღვევო მომსახურების სფეროს სახელმწიფოებრივი რეგულირების ნორმების ჩამოყალიბებაა. ამ უკანასკნელის ძირითადი მიზანია, ერთი მხრივ, ქვეყნის სადაზღვევო ბაზარზე მოქმედი სადაზღვევო ორგანიზაციების ქმედითუნარიანობის უზრუნველყოფა, ხოლო მეორე მხრივ, სადაზღვევო სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის პრინციპების გატარება.

სადაზღვევო ბაზრის ეფექტური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია საბაზრო მოთხოვნების შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის, აღრიცხვისა და ანგარიშების სისტემის, მონაცემთა ძლიერი ბაზის არსებობა, რაც ბოლო ნლების ანალიზის ფონზე ძალიან წინ გადადგულ ნაბიჯად ითვლება სადაზღვევო ინდუსტრიისათვის.

სადაზღვევო სფერო სოციალური რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია. დაზღვევა, როგორც ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემა, ქმნის მოსახლეობის სოციალური გარანტიების ალტერნატიულ, სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელ ბერებებს და საკუთარ თავზე იღებს სოციალური პრობლემების გარკვეული სპექტრის მოგვარებას.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის

ქვეყნებში დაზღვევა უკვე და ი დანია ჩამოყალიბდა, როგორც სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მარეგულირებელი ინსტრუმენტი და შეიძინა ალტერნატიული სოციალური რეგულატორის ფუნქცია. მრავალი ათეული წლების განმავლობაში საქართველოს სადაზღვევო სისტემის ფუნქციონირების პრობლემები მეცნიერული კვლევის არაპოპულარული ობიექტი იყო. იგი უშუალოდ ცენტრიდან იმართებოდა და სახელმწიფო მონოპოლიას წარმოადგენდა. ამის გამო საქართველოს

საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე სადაზღვევო სფეროში გამოცდილების არავითარი პრაქტიკა არ გააჩნდა. ამჟამად სიტუაცია სრულიად საპირისპიროა. საქართველოში სადაზღვევო საქმიანობის თეორიულ-მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ საკითხებზე მნიშვნელოვანი გამოკვლევები აქვთ ჩატარებული ცნობილ ქართველ ეკონომისტებს რ. ასათიანს, რ. ბასარიას, გ. გამსახურდიას, რ. კაკულიას, ი. მესხიას, ლ. ჩიქავას, ნ. ჭითანავას, გ. ხელაიას, ე. ბოლოკაძეს, შ. ქისტაურს, ვ. პაპავას და სხვებს. ქვეყნის განვითარების მთავარი ღერძის – ფინანსური ურთიერთობების სფეროში გარდაქმნებს ახალი სისტემური მიდგომის აუცილებლობა განაპირობებს, როგორც რეგულირების ადმინისტრაციულ მეთოდებზე უარის თქმით, ასევე საბაზრო ფინანსური ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი ინტეგრაციული პროცესების აღმოცენებითა და გაძლიერებით. დღეისათვის ასეთი “ინტეგრაციული ცენტრის” როლს სულ უფრო მეტად იმკვიდრებს სადაზღვევო ბაზარი, რამდენადაც დაზღვევის ეფექტურ ფუნქციონირებაზეა დამოუკიდებული ფულადი სახსრების გადადინება აკუმულირების წყაროდან ინვესტიციური საქმიანობის სფეროში.

მიუხედავად იმისა, რომ განვითარებულ ქვეყნებში დიდი ყურადღება ეთმობა ჯანმრთელობის დაზღვევის სეგმენტს, ფართოდ არის აღიარებული მისი პოტენციური შესაძლებლობები ეკონომიკური და სოციალური საკითხების გადაწყვეტაში. ამ ფენომენის ზოგიერთი ასპექტი საკმაო შესწავლასა და დახვეწას საჭიროებს. საქართველოში კი იგი ფუნდამენტალურ გამოკვლევას მოითხოვს.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბენიძე ნ., შონია ნ., ბინაძე ჯ., რისკები და დაზღვევა, თბ., 2010
2. შათირიშვილი ჯ. კაკაშვილი ნ., სადაზღვევო საქმე, თბილისი, 2012
3. ვერულავა თ., ჯანმრთელობის სოციალური დაზღვევის თავისებურებები, თბილისი, 2010
4. ix. Lampert H., Lehrbuch der Sozialpolitik. Berlin, 1998, S. 224-228.
5. ix. Frerich J., Sozialpolitik. Das Sozialleistungssystem der Bundesrepublik Deutschland. Darstellung, Probleme und Perspektiven der Sozialen Sicherung. München/Wien, 1996.
6. [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge);
7. [www.mof.gov.ge](http://www.mof.gov.ge);
8. [www.moh.gov.ge](http://www.moh.gov.ge)

## რეზიუმე

სადაზღვევო ინდუსტრია წარმოადგენს ნებისმიერი წარმატებული ეკონომიკის არსებით შემადგენელ ნაწილს. ეკონომიკისა თუ ისტორიის მრავალი მკვლევარი აღიარებს მჭიდრო კავშირს მყარ სადაზღვევო ბაზარსა და ეფექტურ განვითარებას შორის. დაზღვევის პრობლემატიკის აქტუალობა ნათლად ვლინდება სადაზღვევო ურთიერთობათა სუბიექტების: დამზღვევისა და მზღვეველის ძირითად ეკონომიკურ ინტერესებში. პირველის მოთხოვნას სადაზღვევო პრემიის სანაცვლოდ რისკებისაგან დაცვა ანუ მათი რეალიზების შემთხვევაში წარმოშობილი ზარალის სრული და დროული ანაზღაურება წარმოადგენს, ხოლო მეორის მისწრაფება დროებით თავისუფალი სადაზღვევო შენატანების ინვესტირების ფართო სპექტრით მოგების მაქსიმიზაციას გულისხმობს. საქართველოში საბაზო ურთიერთობების ფორმირებისა და განვითარების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სრულყოფილი სადაზღვევო ურთიერთობების ჩამოყალიბებას, რაც განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას და შესაბამისად, მსოფლიო სადაზღვევო სისტემაში ჩართვას. საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური და სოციალური რეფორმების ფონზე ნათლად გამოიკვეთა მოქალაქეთა სოციალური დაცვის ალტერნატიული მექანიზმების შექმნის აუცილებლობა. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით სადაზღვევო საქმიანობის ცივილიზებული ფორმების დანერგვას.

## SUMMARY

Insurance industry constitutes significant integral part of any successful economics. Numerous researchers of economics and history admit close relationship between a firm insurance market and efficient economical development. Purpose of insurance is to reimburse an insured person or entity the material condition, which such person or entity has got before risk realization. It is related to overcoming of the risk case financial outcomes. Insurance together with financial compensation of damage is a powerful stimulus for business activities, which is made by investment of provisionally free monetary means, which are at disposal of insurance companies. Owing to existence of the insurance fund each enterpriser may to acquire insurance coverage for the less price than would be the expenses, which such enterpriser should incur for establishment of his own reserve fund. For efficient functioning of the insurance market it is necessary existence of the legislative basis, accounting system, data base conforming to the market requirements, which has contributed to significant advance of the insurance industry for last few years. The insurance field is one of the most important parts of the social reforms as the economical relationships system as it creates alternative mechanisms for people's social securing, which are independent from state; through that the insurance industry undertakes settlement of the certain spectrum of social problems.

## სილარიბის სოციოლოგიური თეორია

გიორგი კეპულაძე

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სილარიბის პრობლემის კვლევა არ დაიყვანება მისი არსებობის ფაქტის უბრალო კონსტატაციასა და აღნერამდე. იგი ატარებს კომპლექსურ ხასიათს და ითვალისწინებდეს ყველა იმ მიღწევას, რომელსაც ადგილი აქვს როგორც ეკონომიკურ, ასევე პოლიტიკურ სოციოლოგიურ, ფსიქოლოგიური და სხვა მეცნიერულ მიმართულებებში, რაც სილარიბის კვლევას ინტერდისციპლინარულ ხასიათს აძლევს.

მოცემული ნაშრომი წარმოადგენს იმ თეორიული მიდგომების ანალიზს, რომელიც დაკავშირებულია სილარიბის პრობლემის კვლევასთან სოციოლოგიურ მეცნიერებაში.

### შესავალი

სილარიბის პრობლემა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სოციოლოგების კვლევებში და ის დიდწილად დაახლოებულია სილარიბის ანთროპოლოგიურ თეორიასთან.

სოციოლოგიაში სილარიბე წარმოდგენილია, როგორც სოციო-კულტურული ფენომენი, როგორც ადამიანის მიერ დაკავებული ცხოვრებისეული პოზიცია, როგორც ადამიანის მიერ მიღებული ფასეულობათა სისტემა.

სოციოლოგების მიერ სილარიბის პრობლემის გააზრება ფოკუსირდება, ერთის მხრივ, საზოგადოების სტრუქტურასა და სოციალურ-ეკონომიკურ ორგანიზაციაზე და, მეორეს მხრივ, ამ საზოგადოებაში ინდივიდის როლის გაგებაზე. სხვაგვრად, სოციოლოგები იკვლევენ სილარიბის სტრუქტურირების პრობლემას და გამოყოფენ სილარიბის პიროვნულ და სოციალურ-ეკონომიკურ კონტექსტს ანუ განიხილავენ სილარბეს, როგორც ინდივიდუალურ ან/და საზოგადოებრივ (სახელმწიფოებრვ) კონსტრუირების შედეგს.

სილარიბის სოციოლოგიური პარა-

დიგმის ფარგლებში შემუშავებულია ე.ნ. სილარიბის (სუბ)კულტურის კონცეფცია, რომელიც ჩამოყალიბდა სილარიბის კვლავნარმოებითი ხასიათის, მისი მუდმივობის მიზეზების შესწავლის საფუძველზე.

### 1. სოციოლოგიური მიდგომის ზოგადი დახასიათება: ისტორიული ასპექტი

სილარიბის სოციოლოგიური თეორია დიდწილად ატარებს საზოგადოებაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებების ნიშანს და ასახავს სახელმწიფო პოლიტიკისა და საზოგადოების არსებული მდგომარეობის თავისებურებებს.

ისტორიულ ასპექტში სილარიბის სოციოლოგიური თეორიის განვითარებაში შეიძლება გამოყოფილი იქნას სხვადასხვა პერიოდები.

მე-20 საუკუნის 60-ნი წლები ხასიათდება ეკონომიკური აღმავლობით, რამაც დიდწილად განაპირობა სოციოლოგების შეხედულებები სილარიბეზე. ამ პერიოდში ლარიბები განიხილებოდნენ, როგორც სოციალურად გარიყული ადამიანები, როგორც „საჭიროებას მოკლებულ პროლეტარიატის მემკვიდრეები“ [10]. სილარიბეზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრებოდა თავად ლარიბებს, ხოლო საზოგადოება და სახელმწიფო არ განიხილებოდა რაიმე კავშირში სილარიბის არსებობასთან. ამ პერიოდში განვითარებული შეხედულებები ძალიან ახლოს დგანან ჰ.სპენსერის მიერ განვითარებულ იდეებთან.

მე-20 საუკუნის 70-ნი წლებში სოციოლოგების შეხედულებები იცვლება. ამ პერიოდში სილარიბე უკვე განიხილება, როგორც ადამიანთა ადაპტირების გაძნელების შედეგი ისეთი საზოგადოებრივი ცვლილებებისადმი, როგორიცაა

სწრაფად განვითარებადი ურბანიზაცია, თაობებს შორის კავშირისა და ურთიერთ-გაგების დამკვიდრების პრობლემის გაძლიერება, განათლებისა და სამედიცინო მომსახურებისადმი ხელმისაწვდომლობის უთანაბრობა, აღზრდა-განათლების არასრულყოფილება და სხვა. მნიშვნელოვანია ის, რომ ამ პერიოდში სოციოლოგების მიერ სილარიბე აღიქმნება არა როგორც ადამიანთა ცალკეული ფენების პრობლემა, არამედ როგორც საზოგადოებაში დაგროვებული სირთულეების შედეგი, რომელიც ვრცელდება ადამიანთა სულ უფრო ფართო წრეებზე.

მე-20 საუკუნის 80-ნი წლებში ვითარდება ახალი შეხედულებები სილარიბესთან დაკავშირებით და სოციოლოგები ყურადღებას ამახვილებენ სილარიბის მერყეობაზე, მის ცვალებადობაზე, რომელიც განპირობებულია საზოგადოებაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესებით. ამის გამო სილარიბე განიხილება არა როგორც ცალკეული ადამიანის ან ჯგუფებისთვის იმანენტური თვისება, არამედ როგორც გარემოს ნეგატიური ცვლილების შედეგი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს დასაქმების კრიზისი და დასაქმებულთა უმუშევრად გადაქცევა. ასეთ ვითარებაში სილარიბეზე პასუხისმგებელია როგორც ინდივიდი, ისე საზოგადოება. ანუ ამ ეტაპზე სილარიბე წარმოადგენილია, როგორც ინდივიდუალური და სახელმწიფოებრვი კონსტრუირების პროდუქტი.

რაც შეხება უფრო ადრეულ პერიოდს, ანუ მე-18 საუკუნიდან მე-20 საუკუნის 50-ან წლებამდე, სოციოლოგიურ მეცნიერებაში დომინირებდა სილარიბისადმი ორი ძირითადი მიმართულება - სოციალურ-დარვინისტული და ეგალიტარისტული.

## **2. სილარიბე, როგორც სოციალური სიკეთე: სოციალ-დარვინისტული მიდგომა**

სილარიბისადმი სოციალ-დარვინისტული მიდგომა ეფუძნება ჩ.დარვინის შეხედულებებს ბუნებრივი გადარჩენისა და არსებობისთვის ბრძოლის შესახებ და სწორედ ამ თვალსაზრისით განიხილავს

საზოგადოებაში მიმდინარე ყველა სოციალურ მოვლენას და მათ შორის სილარიბეს.

სილარიბისადმი სოციალ-დარვინისტული მიდგომა წარმოდგენილია ინგლისელი სოციოლოგისა და ფილოსოფოსის, სოციოლოგიის ინგლისური სკოლის დამაარსებლის **ჰერბერტ ჰერბერტ ჰენსერის** (Herbert Spencer, 1820-1903) მიერ. ჰერბერტ ჰენსერითვლიდა, რომ სილარიბე არის სრულად კანონზომიერი და ბუნებრივი მოვლენა. მისი შეხედულებებით, სილარიბე და საზოგადოების დიფერენციაცია იზრდება საზოგადოებრივი წარმოების ზრდასთან ერთად. ვინაიდან საზოგადოებრივი წარმოების ზრდა შეუქცევადი პროცესია, მაშასადამე, ჰ.ჰენსერი აკეთებს დასკვნას, რომ სილარიბეც გარდაუვალი მოვლენაა [11]. ამასთან, ჰ.ჰენსერისთვის სილარიბე არის არა საზოგადოებრივი, არამედ თითოეული ადამიანის პირადი პრობლემა. ადამიანები არასრულყოფილნი არიან და ცხოვრებისეულ პრობლემებს სხვადასხვანაირად ხვდებიან, ზოგი მათგანი პოულობს მისთვის სასარგებლო გამოსავალს, ხოლო სხვები ვერ უმკლავდებიან ამ პრობლემებს. ჰ.ჰენსერისთვის ლარიბი ადამიანები წარმოადგენენ სოციალურ და პოლიტიკურ მარგინალებს, რომლებიც სოციალური ევოლუციის ფარგლებს გარეთ იმყოფებიან. ის უარყოფდა სახელმწიფოს მხიდან ლარიბებისათვის შემწეობებისა და დახმარების განევის აუცილებლობას [11, გვ. 357], ვინაიდან ასეთი ქმედებები ზღუდავენ, მისი აზრით, ადამიანთა თავისუფლებას.

ჰ.ჰენსერი აფასებდა სილარიბეს, როგორც დადებით მოვლენას, რომელიც აძლევს ადამიანს თვითგანვითარების შესაძლებლობას და წარმოადგენს მნიშვნელოვან წინაპირობას ამისათვის.

ჰ.ჰენსერზე თითქმის ერთი საუკუნით არდე სილარიბის დადებით როლზე საუბრობდა **პატრიკ კოლხოუნი** (Patrick Colquhoun, 1745-1829). თავის ნაშრომში „ბრიტანული იმპერიის რესურსები“ [2] პ.კოლხოუნი ამბობს, რომ სილარიბის მნიშვნელოვანი გავრცელების გარ-

ეშე ვერც ერთი ქვეყანა ვერ იქნებოდა მდიდარი, ვინაიდან სიმდიდრე იქმნება შრომით, ხოლო შრომა შეიძლება იყოს მხოლოდ სიღარიბის არსებობის შედეგი, ვინაიდან სიღარიბე - ეს არის ადამიანის ისეთი საზოგადოებრივი მდგომარეობა, როდესაც მას (ადამიანს) არ გააჩნია არავითარი საკუთრება და არავითარი სხვა არსებობის წყარო გარდა საკუთარი შრომისა. ამიტომ პ. კოლხაუნი ასკვნიდა, რომ „სიღარიბე არის საზოგადოებრივი მოწყობის აბსოლუტურად აუცილებელი ელემენტი, რომლის გარეშე ვერ იარსებებდა ვერც ერთ ცივილიზაცია“ [2, გვ. 173].

სიღარიბის სასარგებლო თვისებებზე მსჯელობა არ არის უცხო არც თანამედროვე სოციოლოგებისათვის. ასე, თანამედროვე სოციოლოგი, კოლუმბიის უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორი და თავისი დროის ერთ-ერთი გავლენიანი მეცნიერი **ჰერბერტ განსი** (Herbert J. Gans, dab. 1927 w.) ასევე პოზიტიურად აფასებს სიღარიბის არსებობას. თავის შრომებში ჰ.განსი გამოდიოდა სიღარიბის ზოგიერთი კონცეფციის (მაგალითად, „სიღარიბის კულტურის“, „ანდერკლასის“, „კონცენტრირებული სიღარიბის“ კონცეფციების) მძაფრი კრიტიკით [5; 6; 7; 8] და თავის ყველაზე ხშირად გამოცემულ ნაშრომში „სიღარიბის პოზიტიური ფუნქციები“ („The Positive Functions of Poverty“) ასახელებს ლარიბთა არსებობის „თხუთმეტ ყველაზე მნიშვნელოვან ფუნქციას, რაც არის საკმარისი იმის დასაბუთებისათვის, რომ სიღარიბე ინარჩუნებს თავს, რადგან ის სასარგებლოა...“ [8, გვ. 284].

სიღარიბის არსებობის მნიშვნელობას ჰ.განსი იმაში ხედავს, რომ ლარიბები „ბინძურ სამუშაოებს ასრულებენ“. სიღარიბის არსებობა გამართლებულია ჰ.განსის მიხედვით, აგრეთვე იმ თვალსაზრისით, რომ ლარიბები იძენენ მოველებულ და ნახმარ ნივთებს, სიღარიბე უზრუნველყობს მდიდართა სოციალურ სტრატიფიკაციას, რის საფუძველზე შესაძლებელი ხდება შთამომა-

ვლობით მდიდართა გამოყოფა ახლად გამდიდრებულ ადამიანებისაგან, სიღარიბე ხელს უწყობს შეძლებულ და განათლებულ ადამიანებს დაიკავონ უკეთესი სამსახურებრივი პოზიციები, სიღარიბის არსებობის წყალობით არისტოკრატებს შეუძლიათ გახდნენ ფილანტროპები და ამით ხაზი გაუსვან თავის მაღალ მდგომარეობას და სხვ. [8, გვ. 278-284].

კოლუმბიის უნივერსიტეტის სხვა წარმომადგენელი, მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სოციოლოგი **რობერტ კინგ მერტონი** (Robert King Merton, 1910-2003) ამართლებს სიღარიბის არსებობას იმით, რომ, ევროპაში, სადაც ლარიბები უმცირესობას წარმოადგენენ ანუ „სიღარიბე დეფიციტს წარმოადგენს“, ბინძურისაქმეების გასაკეთებლად ლარიბებს „ინერენ“ სხვა ქვეყნებიდან, სადაც სიღარიბე ჭარბად არის წარმოადგენლი. რ.კ.მერტონი სიღარიბეს დაბალ ხელფას უკავშირებს, რაც, თავის მხრივ, აძლევს „სხვებს“ (იგულისხმება მოსახლეობის შეძლებული ნაწილი) საშუალებას მიიღონ მაღალი შემოსავალი და განახორციელონ მედიცინისა და განათლების სუბსიდირება.

ამასთან, სოციოლოგები (და მათ შორის რ.კ.მერტონი) აღიარებენ სიღარიბის გარკვეული ნეგატიური თვისებების (მხარეების) არსებობასაც, რის საფუძველზე ჩამოყალიბდა სიღარიბის ეგალიტარული მიდგომა.

### 3. სიღარიბე, როგორც სოციალური ბოროტება: ეგალიტარული მიდგომა

სოციოლოგიის ეგალიტარული მიმართულების წარმომადგენლები ქადაგებენ საყოველთაო გათანაბრების იდეას, როგორც ადამიანთა საზოგადოების არსებობის ძირითად ორგანიზაციულ პრიციპს. ეგალიტარული მიმართულების მომხრეებისთვის სიღარიბე წარმოადგენს ბოროტებას.

რობერტ კინგ მერტონი, რომელიც განიხილავდა სიღარიბეს, როგორც დადებით მოვლენას, აღნიშნავს აგრეთვე მის დისფუნქციებს ანუ ნეგატიურ მხარეებს. კერძოდ, ის ამბობს, რომ ლარიბები თავისი მარტივი შრომით აფერხებენ შრომითი

პროცესის ავტომატიზაციას და ახალი პროფესიების ჩამოყალიბებას. მაგრამ ამით არ შემოიფარგლება სილარიბის არ-სებობის დისფუნქციები. სილარიბე არის დანაშაულის და კრიმინალის წყარო, ის არის საზოგადოების რადიკალური ცვლილებების პოტენციური საფუძველი ანუ, სხვა სიტყვებთ, ღარიბი ადამიანები საფრთხეს წარმოადგენენ საზოგადოებისათვის.

ამერიკული სოციოლოგის ფსიქოლოგიური მიმართულების ერთ-ერთი უმსხვილესი წარმომადგენელი **ფრანკ-ლინ გიდინგსი** (Franklin Henry Giddings, 1855-1931) გამოდის იმ მოსაზრებიდან, რომ ღარიბები საკუთარი ნება-სურვილით ხდებიან საზოგადოების პარაზიტები, ვინაიდან ცდილობენ იარსებონ მდიდართა და, ზოგადად, საზოგადოების ხარჯზე. ფ.გიდინგს არ სწავს, რომ შესაძლებელია სილარიბის დაძლევა და აღიარებდა სილარიბეს, როგორც გარდაუვალ ბოროტებას [9].

ამგვარად, ეგალიტარული მიმართულების სოციოლოგებისთვის სილარიბე მხოლოდ და მხოლოდ ბოროტებაა, რომელიც არის საზოგადოებაში გაბატონებული ურთიერთობების შედეგი და საზოგადოების არსებობის საფრთხე.

#### 4. სილარიბის (სუბ)კულტურის სოციოლოგიური თეორია

ცნება „სილარიბის კულტურა“ ფართოდ გამოიყენება და შეისწავლება არა მხოლოდ ანთროპოლოგიურ, არამედ სოციოლოგურ მეცნიერებაშიც.

სილარიბის კულტურის სოციოლოგიურმა თეორიამ განიცადა მნიშვნელოვანი გავლენა „სილარიბის კულტურის“ ანთროპოლოგიური თეორიის მხრიდან.

„სილარიბის კულტურა“ სოციოლოგიაში მჭიდროდ არის დაკავშირებული „სილარიბის მანკიერი წრის“ იდეასთან და ცდილობს გასცეს პასუხი კითხვას, თუ რატომ არსებობს სილარიბე მის დაძლევაზე მიმართული ღონისძიების განხორციელების მიუხედავად.

„სილარიბის კულტურისა“ და „სილარიბის მანკიერი წრის“ პრობლემების გაძლიერებული განხილვა სოციოლოგურ

მეცნიერებაში (ისევე, როგორც ანთროპოლოგიაში) დაიწყო 1970-ან წლებში. მაგრამ მე-20 საუკუნის 80-ანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება ამ შეხედულებების მძაფრი კრიტიკა, ხოლო 21-ე საუკუნეში მეცნიერები კვლავ დაუბრუნდნენ სილარიბის კულტურის იდეას და დაიწყეს მისი ინტენსიური შემუშავება.

სოციოლოგიური მეცნიერება განასხვავებს ერთმანეთისაგან ტერმინებს „კულტურა“ და „სუბკულტურა“ და გამოდის იმ გაგებიდან, რომ ტერმინი „სუბკულტურა“ წარმოადგენს „კულტურის“ ნაწილს.

ამასთან, „კულტურის“ საფუძვლად სოციოლოგებს [1,2,4 და სხვ.] უდევთ საზოგადოების სოციალური სტრატიფიკაციის პრინციპი, ხოლო სუბკულტურაში მათ ესმით ადამიანთა ქცევაზე მოქმედი წესებისა და ნორმების ერთობლიობა. ანთროპოლოგებისგან განსხვავებით, სოციოლოგები განიხილავენ კულტურას ნორმატიულ ტერმინებში, ხოლო სუბკულტურას - როგორც გადახრას გარევეული ნორმებიდან.

მე-20 საუკუნის 70-80-ან წლებში მოღვაწე სოციოლოგთა ნაწილი სილარიბის არსებობის მიზეზად აღიარებდნენ ადამიანთა ისეთ ფსიქოლოგიურ თვისებებს, როგორიცაა მათი მორალური არასრულყოფილება, დაბალი შედეგიანობა, კულტურული გარემოს ზემოქმედება და სხვ.

სოციოლოგები სულ უფრო ხშირად განიხილავენ სილარიბეს, როგორც კანონზომიერ მოვლენას, რაც გამოისახა „სილარიბის სტრუქტურის“ ცნებაში და სილარიბის, როგორც საზოგადოების შემადგენელი ნაწილის აღიარებაში.

სოციოლოგიური მიდგომიდან გამომდინარე, სილარიბე წარმოდგენილია, როგორც სოციო-კულტურული მოვლენა, როგორც მიღებული ფასეულობების შედეგი, როგორც საზოგადოებაში ჩამოყალიბებული მაკრო- და მიკრო- ურთიერთობების შედეგი და, მაშასადამე, განიხილება, როგორც ინდივიდუალური ან/და საზოგადოებრივი (სახელმწიფოებრვი) კონსტრუირების შედეგი.

## **გამოყენებული ლიტერატურა:**

- 1.CohenPatricia, 2010, „Culture of Poverty“ Makes a Comeback,
- 2.Colquhoun Patric., 1814, A Treatise on the Wealth, Power, and Resources of the British Empire, Publisher J.Mawman,
- 3.Douglas M., 1991,Witchcraft and Ileprosy: two strategies of exclusion, Journal of the Royal Anthropological Institute, Man, 26(4), 723-735.
- 4.Dumont L., 1970,Homo Hierarchicus: An Essay on the Caste System, Chicago: University of Chicago Press.
- 5.Gans, Herbert J.,1965, Poverty and culture // Poverty in America // Ed. by L. Ferman. University of Michigan press, 1965.
- 6.Gans, Herbert J.,1995, The War against the Poor. The Underclass and Antipoverty Policy.ISBN: ISBN-0-465-01990-0, New York.
- 7.Gans, Herbert J., 2010, Concentrated Poverty: A Critical Analysis, Challenge/May–June 2010, pp. 82-96.
- 8.Gans, Herbert J., 1972,The Positive Functions of Poverty, American Journal of Sociology, Volume 78 Number 2, pp. 275-289.
- 9.Гиддингс Ф., 1898, Основания социологии. Анализ явлений ассоциации и социальной организации Пер. с англ. Н.Н. Спириданова. — Изд. 3-е. — М.: КРАСАНД, 2012, ISBN: 978-5-396-00666-9.
- 10.КасумовТ.К., Социологический взгляд на бедность,
- 11.Спенсер Г., 1906, Социальная статика. Изложение социальных законов, обуславливающих счастье человечества. СПб.
- 12.Социология: в 3-ех томах.— В. И. Добреньков, А. И. Кравченко. 2003-2004. М.: Социологический факультет МГУ им. М. В. Ломоносова.

## **SUMMARY**

### **SOCIOLOGICAL THEORY OF POVERTY**

Giorgi Kepuladze, PhD  
Akaki Tsereteli State University

The author proceeds from a belief that poverty could not be viewed only as an economic phenomenon, economic category. The investigation of poverty issues has to be based on the interdisciplinary approach and to include important results obtained by different fields of social sciences.

The given paper considers a sociological theory of poverty and mentions that the sociology presents poverty as a person's lifestyle position and as a system of adopted values. The author studies Herbert Spencer's, Patrick Colquhoun's, Herbert Gans', Robert King Merton's, Franklin Henry Giddings' views. If for H. Spencer poverty is a social good and a basis for the instinct of self-preservation, for P. Colquhoun poverty is a basis for wealth because the wealth is created by labor while the labor can only be the result of poverty. The representatives of the egalitarian approach in the sociology consider poverty as a social evil. Like anthropologists, sociologists also discuss (sub)cultural theory of poverty when the culture of poverty is closely connected with the idea of „vicious circle of poverty“.

# სტაილური დოკუმენტის საზოგადო ღირებულებათა რეალიზაციამდე

მაია ჩეჩელაშვილი  
ეკონომიკის დოქტორი, ს ტ უ-ს ასოცირებული პროფესორი  
ლაშა ჯინჯიხაძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

**საკვანძო სიტყვები:** დაინტერესებულ მხარეთა კონცეფცია, საზოგადო ღირებულებათა კონცეფცია, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა, სტეიკოლდერული მენეჯმენტი, სტეიკოლდერთა თეორია.

სტეიკოლდერთა თეორია (stakeholder theory), სხვანაირად - სტეიკოლდერთა, ანუ დაინტერესებულ მხარეთა კონცეფცია (stakeholder concept), მიეკუთვნება ყველაზე ცნობილ თეორიულ კონსტრუქციათა რიცხვს. ბიზნესისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულების კონტექსტში ეს თეორია არის ავტორიტეტული და საყოველთაოდ აღიარებული, მაგრამ ამავდროულად, ყველაზე სადაოც. მიღებულია ჩაითვალის, რომ სტეიკოლდერთა კონცეფციის პირვანდელ კლასიკურ ვერსიას წარმოადგენს ეფრიმენის წიგნი „სტრატეგიული მენეჯმენტი: სტეიკოლდერული მიდგომა“.

**დაინტერესებულ მხარეთა კონცეფცია.** ე. ფრიმენის განმარტებით, კომპანიის სტეიკოლდერს წარმოადგენს ნებისმიერი ინდივიდი, ჯგუფი ან ორგანიზაცია, რომელიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს კომპანიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, ანდა განიცდის ამ გადაწყვეტილებების ზემოქმედებას. ამიტომ, როგორც წესი, მათ მიაკუთნებენ:

- შიდა სტეიკოლდერებს - კომპანიის მეპატრონებს, დაქირავებულ მენეჯერებს, კომპანიის პერსონალს;

- გარე სტეიკოლდერებს - კომპანიის პროდუქტების მომხმარებლებს, რესურსების მიმწოდებლებს, სახელმწიფოს, ადგილობრივ საზოგადოებას (სოციუმს) და საზოგადოებრივ დაჯგუფებებს (ორგანიზაციებს).

შესაბამისად, კონცეფციის თანახმად, მისი ერთერთი ძირითადი დებულება დაყვანილია შემდეგ დეფინიციამდე: მესაკუთრეები და მენეჯერები ისე უნდა მართავდნენ კომპანიის საქმიანობას, რომ ჩამოთვლილი სტეიკოლდერების ინტერესები არ იქნას დარღვეული, შენარჩუნებული იყოს გარევეული ეთიკური ბალანსი. კომპანიის სწორედ ამგვარი ფუნქციონირება და განვითარება

მიიჩნევა ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობად.

ამდენად, უკვე აქვე შეგვიძლია შემდეგი მნიშვნელოვანი დასკვნის გამოყოფა, რომელიც ერთნაირად მიეკუთნება სტეიკოლდერთა თეორიის (კონცეფციის) როგორც ადრეულ, ისე გვიან ვერსიებს: **სტეიკოლდერების თეორია - ეს არის კომპანიის განსაკუთრებული მოდელის თეორია, რომელიც გარკვეული სახით ახდენს მისი, როგორც თანამედროვე საზოგადოების სოციალურად პასუხისმგებელი ინსტიტუტის, ინტერარეტაციას.**

სტეიკოლდერების თეორიის მკვლევართა უმეტესობა თვლის, რომ მისი განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი დაკავშირებულია ჯ. პოსტის, ლ. პრესტონისა და ს. საქსის წიგნის, „კორპორაციის ახლებული გაზრდა: სტეიკოლდერული მენეჯმენტი და ორგანიზაციის სიმდიდრე“, გამოჩენასთან. წიგნის სათაური ნათელყოფს იმას, რომ ავტორთა თეორიული კონსტრუქციის ერთერთ უმნიშვნელოვანეს კატეგორიას ორგანიზაციის სიმდიდრე წარმოადგენს. ეს სიმდიდრე განსაზღვრულია, როგორც კომპანიის მიერ ხანგრძლივი დროის მანძილზე სტეიკოლდერებისთვის სხვადასხვა სიკეთების წარმოების უნარის ინტეგრალური მაჩვენებელი. აქედან გამომდინარე, სტეიკოლდერული მენეჯმენტის მიზნობრივ ფუნქციას წარმოადგენს ორგანიზაციის სიმდიდრის მაქსიმიზაცია, რაც გაიგივებულია კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის ოპტიმიზაციასთან, ვინაიდან ასეთი პასუხისმგებლობა წარმოადგენს კომპანიის მენეჯმენტის საერთო მიზნობრივი ფუნქციის კერძო მდგრენელს.

**საზოგადო ღირებულებათა კონცეფცია.** ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, სპეციალისტების უმეტესობა იზიარებს შემდეგ დასკვნას: **ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის თანამედროვე კრიტერიუმების შესაბამისად, სტეიკოლდერთა კონცეფციის პოსტის, პრესტონისა და საქსისეული ვერსია გაცილებით პროგრესულია თავისი შინაარსით და კონსტრუქცი-**

**ული გამოყენებადი ინსტრუმენტების ნაკრებით, ფრიმენის კლასიკურ ვერსიასთან შედარებით.**

ამავდროულად ჩატარებული ანალიზი გვაძლევს საფუძველს შემდეგი დეფინიციის ჩამოსაყალიბებლად: **სტეიკპოლდერთა ყველა უკანასკნელ ვერსიაში შენარჩუნებულია შემდეგი ფუნდამენტური წინააღმდეგობა - ერთის მხრივ, საზოგადოების ლოკალური სოციუმების საბაზისო ლირებულებები და მეორე მხრივ, ბიზნესის საბაზისო ლირებულებების ნანილი, განსხვავდება ერთმანეთისგან. შესაბამისად, საჭიროა საერთო საზოგადო ლირებულებების კონცეფციაზე გადასვლა არა მხოლოდ სტეიკპოლდერთა თეორიის თანამედროვე განვითარების, არამედ საბაზისო ლირებულებათა საერთო კონტექსტშიც.**

მ. პორტერის და მ. კრეიმერის საზოგადო ლირებულებათა კონცეფცია გამოქვეყნდა უურნალში „არვარდ უსინეს ლევინ“ . კონცეფციის მოკლე შინაარსი ამგვარად შეიძლება იქნას წარმოდგენილი:

1. ბიზნესისა და დანარჩენ საზოგადოებას შორის სოციალური ჰარმონიის უზრუნველყოფის კრიტერიუმით, საზოგადო ლირებულებათა კონცეფცია წარმოადგენს სტეიკპოლდერთა უფრო ადრეული კონცეფციის მნიშვნელოვან განვითარებას;

2. კონცეფციის ავტორთა აზრით, ე. წ. „საუკეთესო ბიზნეს-პრაქტიკა“, ანუ რეალური ბიზნეს-საქმიანობა, რომელიც სრულიად შეესაბამება როგორც ბიზნესის, ასევე საზოგადოების საერთო ლირებულებებს, ბიზნესისათვის „დატვირთვას“ ეს არა, მისი ყოველდღიური საქმიანობის შინაარსს უნდა წარმოადგენდეს. ანუ, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის პრაქტიკული განხორციელება უნდა შეესაბამებოდეს ბიზნესის სტრატეგიის ინტეგრალურ მაჩვენებლებსა და ადეკვატურ მიზნებს;

3. პორტერი და კრეიმერი ამტკიცებენ, რომ საზოგადოებრივ ლირებულებათა კონცეფციის შესაბამისად, კომპანიების ბიზნეს-საქმიანობა პრინციპულად განსხვავდება იმ კომპანიების საქმიანობისაგან, რომლებიც პრაქტიკაში ყოველდღიურად ახორციელებენ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ღონისძიებებს. ამ განსხვავებათა ძირითადი შინაარსი გადმოვეცით ცხრილ-

ში 1, სადაც შეპირისპირებულია საზოგადოებრივი ლირებულებები და ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა;

4. საზოგადო ლირებულებათა კონცეფციის ავტორები თვლიან, რომ მისი რეალიზება წარმოადგენს კაპიტალიზმის ევოლუციის ახალ ეტაპს. პორტერისა და კრეიმერის აზრით, საზოგადო ლირებულებებში „იმალება გასაღები, რომელიც გახსნის ადეკვატური ინოვაციების ტალღისა და შესაბამისი ზრდის კარებს“. სწორედ საერთო ლირებულებები აკავშირებს ყოველი კომპანიის წარმატებას შესაბამისი სოციუმის წარმატებულ ფუნქციონირებასა და განვითარებასთან, ვინაიდან ისინი მიმართავენ კომპანიის საქმიანობას „სწორი შემოსავლების“ მიღებაზე, რომლებიც კი არ ართმევენ საზოგადოებას რეალურ ლირებულებებს, არამედ ზრდიან მათ მოცულობას;

**ცხრილი 1. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის და საზოგადოებრივი ლირებულების შექმნის შედარებითი დახასიათება**

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა	საზოგადოებრივი ლირებულების შექმნა
<p><b>ლირებულება:</b> სიკეთის კეთება</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- სამოქალაქო პოზიცია, ქველმოქმედება, მდგრადი განვითარება;</li> <li>- საკუთარი ნებით ანდა გარეშე ზეგავლენით;</li> <li>- ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა გამიჯნულია მოგების მაქსიმიზაციისგან (განსაკუთრებული დამატებითი „სოციალური დანახარჯები“);</li> <li>- მიმართულებები დეტრიქტინირებულია პიარის მიზნებით ანდა პირადი სურვილებით;</li> <li>- ზემოქმედება შემოფარგლულია კორპორაციის ზეგავლენის ზონით და ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ბიუჯეტით.</li> </ul>	<p><b>ლირებულება:</b> დანახარჯების სოციალური სარგებლივობა და ეკონომიკური სარგებელი;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- კომპანიისა და სოციუმის ერთიანობა ლირებულების შექმნის პროცესში;</li> <li>- კომპანიის კონკურენტული საქმიანობის განუყოფელი მდგრენელი;</li> <li>- კომპანიის მოგების მაქსიმიზაციის განუყოფელი დანახარჯები;</li> <li>- მიმართულებები დეტრიქტინირებულია კომპანიის ბიზნესის სპეციფიკით და აირჩევა კომპანიის მიერ;</li> <li>- უზრუნველყოფილია კომპანიის ადეკვატურად შეცვლილი მთელი ბიუჯეტით.</li> </ul>
<p><b>მაგალითი:</b> ბაზრობაზე ვაჭრობა თავისუფალი და ურთიერთმისაღები ფასებით.</p>	<p><b>მაგალითი:</b> კომპანიის შესყიდვების სისტემის ტრანსფორმირება შემოსავლებისა და ხარისხის ასამაღლებლად.</p>

5. ნათელია, რომ კომპანიის მიერ საზოგადო ლირებულებების კონცეფციის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილებები ყველა პრობლემას ვერ გადაწყვეტენ. მაგრამ ეს კონცეფცია აძლევს კომპანიებს

შესაძლებლობას, გახდნენ სოციალური პროგრესის ლიდერები საეუთარ პროფესიულ უნარებზე დაყრდნობით. თანაც გააკეთონ ეს სახელმწიფო სტრუქტურებზე და არასამთავრობო ორგანიზაციებზე უკეთესად.

**დასკვნა.** ბიზნესი უნდა მუშაობდეს საკუთარი წარმატებისთვისა და ქვეყნისთვის, უნდა წარმოშობდეს გონიერ, ნიჭიერ ორგანიზატორებს, მეცნატებს და პატრიოტებს.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Freeman, R. E.; Moutchnik, Al., "Stakeholder management and CSR: questions and answers", 2013, Umwelt Wirtschafts Forum; 21(1): p. 5–9.
2. James E. Post, Lee E. Preston, Sybille Sachs, „Redefining the Corporation: Stakeholder Management and Organizational Wealth“, 2002, P.-376; ISBN: 9780804743044
3. Samantha Miles, "Stakeholders: Essentially Contested or Just Confused?" /Journal of Business Ethics No108 (3), p. 285–298, 2012.
4. Michael E. Porter, Mark R. Kramer, „The Big Idea: Creating Shared Value“, Harvard Business Review: <https://pdfs.semanticscholar.org/e9aa/2361d3e3fe7f9cd741248f41928cf822c94e.pdf>

## რეზიუმე

სტატიაში გადმოცმულია სტეიკოლდერთა თეორიის ძირითადი დებულებები, ნაჩვენებია ამ თეორიის კავშირი ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის შინაარსთან და პრაქტიკასთან. ხაზგასმულია პორტერისა და კრეიმერის საზოგადო ღირებულე-

ბათა თეორიის ურთიერთდამოკიდებულება. დაინტერესებულ მხარეთა კონცეფციასთან. ავტორები წარმოადგენენ საზოგადო ღირებულებათა კონცეფციის ძირითად დებულებებს და გამოყოფენ მის განსხვავებას სტეიკოლდერების კონცეფციისგან.

## SUMMARY

### FROM THE STAKEHOLDERS' THEORY TO THE REALIZATION OF SHARED VALUES

Maia Chechelashvili  
Doctor of Economics, Associate Professor of Georgian Technical University  
Lasha Jinjikhadze  
Doctoral Student of Georgian Technical University

The article deals with the basic provisions of the Stakeholders Theory, showing the theory of the content of business social responsibility and the practice of it. It emphasizes the interrelation between the theoretical and theory of the shared values and the concept of stakeholder parties. The authors represent the main provisions of the concept of public values and emphasize its differences with the concept of stakeholders.

**Key words:** the concept of stakeholders, concept of public values, social responsibility of business, stakeholder's management, stakeholder's theory.

# ენერგეტიკულ კომპანიებს პროცესებზე ორიენტირებული მართვა სფილდებაზ

**ბარი რუსიშვილი**  
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი**

**საკვანძო სიტყვები:** რეინჟირინგი; ბი-ზნეს-პროცესები; პროცესული მართვა; ფუნქციონალური მართვა

## შესავალი

ყველასათვის ცნობილია, რომ ელექტროენერგეტიკა ქვეყნის მეურნეობის ერთ-ერთი და ამასთან მეტად მნიშვნელოვანი დარგია. ენერგეტიკული რესურსები, მ. შ. ელექტრორესურსები, სჭირდება მეურნეობის ყველა დარგს და აგრეთვე მოსახლეობას ყოფითი საჭიროებისთვის. სათქმელია ისიც, რომ ეკონომიკის განვითარების კვალობაზე ელექტრორესურსებზე მოთხოვნილება იზრდება. ასეთ დროს, ქვეყანა ენერგოდეფიციტურია. მართალია, სამთავრობო დონეზე საქართველოში მუდმივად განიხილება ახალ-ახალი ჰესების თუ თესების მშენებლობის საკითხი და მათი აშენებაც ასე თუ ისე ხდება, მაგრამ ტრადიციულად უკვე არსებული ელექტროსაწარმოების მართვის სისტემაში არის პრობლემები. აშკარა გახდა, რომ ამ პროფილის კომპანიების საბაზრო სტრუქტურებად (გენერაცია, გასაღება და სხვა) გადაწყობამ საქმეს ვერ უშველა. ელექტროენერგია საქართველოში კვლავაც ძვირია და ამასთან მისი ტარიფი თანდათან მატულობს. ჩვენი აზრით, ამ სისტემაში საჭიროა სტრუქტურულ-ფუნქციონალურ მართვიდან პროცესულ მართვაზე გადასვლა, რომლის ერთ-ერთი ხერხი არის ბიზნეს-პროცესების რეინჟირინგი.

ბიზნეს-პროცესების მართვა მეტად რთულია, რადგან მმართველობითი გადაწყვეტილებების მრავალი ვარიანტიდან უნდა აირჩეს ერთ-ერთი — რაციონალური გადაწყვეტილება, რომელიც ყველაზე უფრო მიესადაგება კომპანიის მიზნებს და მისი განხორციელება შეიძლება იმ შეზღუდული რესურსებით, რომელიც კომპანიას გააჩნია. რაციონალური გადაწყვეტილების არჩევა მენეჯერთა ინტუიციით მიუღწვადია, რადგან მათ ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება შეიძლება აღარ მიესადაგოს შეცვლილ გარემო პირობებს.

იციან რა ეს, კომპანიების მენეჯერები

ხშირ შემთხვევაში თავს იკავებენ სიახლეების დანერგვისგან. არადა, გლობალიზაციამ კონკურენცია გაამწვავა. ბაზარზე ადგილს შენარჩუნებს მხოლოდ ინოვაციური ორიენტაციის კომპანია. მართალია, ელექტროენერგეტიკა ბუნებრივი მონოპოლია, მაგრამ ეს სფეროც (კერძოდ, მისი ცალკეული სექტორები) თანდათან გადადის საბაზრო ურთიერთობებზე. ასე რომ, ელექტროენერგეტიკის კომპანიებს თითქმის ისევე სჭირდებათ ბიზნეს-პროცესების განახლებული მართვა, როგორც სხვა პროფილის კომპანიებს.

## ძირითადი ნაწილი

**1. საქართველოს ელექტროენერგეტიკაში არსებული ბიზნეს-პროცესების სადლეის მდგრმარეობა**

ის პრობლემები, რომლებიც დღეს საქართველოს ელექტროენერგეტიკის მართვაშია უკავშირდება მართვის ფუნქციებზე ორიენტირებულ მის სტრუქტურას, ტარიფების სიდიდეზე მის დამოკიდებულებას, მოცემული სფეროს ბუნებრივი მონოპოლიის სტატუსს და ამ სფეროში არასრულყოფილ სახელმწიფო პოლიტიკას. ყოველივე ამის შედეგად:

- \* არ არსებობს ბიზნეს-პროცესების ზურტი და დეტალური აღწერა;
- \* პროცესებს აქვთ ფრაგმენტული ხასიათი;
- \* პროცესების შედეგებზე პასუხისმგებლობა არ არის გაპიროვნებული;
- \* ნაკლებია კონტროლი;
- \* პროცესები მოწყვეტილია კლიენტებისგან;
- \* მრავლადაა ფუნქციების დუბლირება;
- \* სრულად არ გამოიყენება ავტომატიზაციის და ინფორმაციული ტექნოლოგიის საშუალებები;
- \* ფუნქციონალურ სტრუქტურებს შორის არსებობს წინააღმდეგობები და სხვა.

**2. რეინჟირინგი როგორც ელექტროენერგეტიკაში საქმიანი პროცესების ოპტიმიზირების საშუალება**

ბიზნესის მოწყვეტილების სხვადასხვა კონცეფციებს (ბიზნეს-პროცესების ავტომატიზაცია (BPA), საწარმოთა რეორგანიზაცია, ხარისხის

გლობალური მართვა (TQM) და სხვები) შორის ბიზნეს-პროცესების რეინჟირინგი (BPR) ერთადერთია, რომლის აქტიური დაწყებულება და მიმდინარეობს. მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში, კერძოდ, 1999 წელს ჩრდილო ამერიკის 100 კომპანიას ინჟინერინგსა და რეინჟირინგზე დაუხარჯავს 3,9 მლრდ დოლარი, ანუ თითოეულ კომპანიაზე ანგარიშით 39 მლნ დოლარი [1].

ამ ინვესტიციით განხორციელებულ რეინჟირინგული პროექტები ყველა არ დამთავრებულა დადებითი შედეგებით, რის გამოც მეცნიერებსა და პრაქტიკოსებს შორის რეინჟირინგის საყოველთაო ეფექტიანობაზე დღესაც დებატები მიმდინარეობს.

მეცნიერი ჯ. ჩამპის აზრით, 1999 წელს განხორციელებული რეინჟირინგული პროექტების წარუმატებლობის მიზეზები იყო [2]:

\* რეინჟირინგის მიჩნევა მხოლოდ ხარჯების შემცირების საშუალებად;

\* რეინჟირინგის განხორციელებისას კომპანიათა კლიენტების შეხედულებებზე ყურადღების არ მიქვევა;

\* დასაქმებული პერსონალის წინააღმდეგობა ცვლილებებისადმი;

\* სათანადო რესურსის არ ქონა;

\* რეინჟირინგის პროექტის არასათანადო მართვა;

\* რეინჟირინგის სფეროში კომპლექსური ცოდნის არქონა.

წარმატებული რეინჟირინგული პროექტების მიზეზებად კი მეცნიერები ასახელებენ [3]:

\* კომპანიების ხელმძღვანელების მუდმივ და სრულმასშტაბიან მონაწილეობას რეინჟირინგის პროცესში;

\* რეინჟირინგის სტრატეგიის დაკავშირებას კომპანიის მიზანთან;

\* შესრულებადი მოქმედებების დასახვას და მათ კონტროლს;

\* პერსონალის მიერ რეინჟირინგის როგორც საქმიანი ცვლილების მიღებას და მასში შეგნებულ თანამშრომლობას;

\* რეინჟირინგის პროექტის განმახორციელებელ სამუშაო ჯგუფის ოპტიმალურ დაკომპლექტებას (მედველობაშია გუნდის წევრთა რაოდენობაც და კვალიფიკაციაც).

მაშასადამე, რეინჟირინგი მაშინ იძლევა დადებით შედეგს, როდესაც სწორად შეიქმნება მისი განხორციელების პირობები, მოხდება მისი კომპრინგიულ მიზანთან და გაკონტროლდება მისი

შესრულება. ამ პირობების გარეშე, რეინჟირინგული პროექტი არავითარ ეფექტს არ მისცემს ქვეყანას.

რეინჟირინგი არ არის მოდური გატაცება. მისი განხორციელება კომპანიის კონკურენტუნარიანობას ამაღლებს და უნარჩუნებს მას ადგილს ბაზარზე, რეინჟირინგის მეშვეობით ბიზნეს-პროცესს სცილდება არასაჭირო ოპერაციები, რომლებზე დახარჯული შრომაც დადებით შედეგს არ იძლევა [4, გვ. 67].

ინჟინერინგსა და რეინჟირინგს შორის მცირე განსხვავებაა. ინჟინერინგში ახალი არის ბიზნესტრუქტურის ფორმალიზებული, ინჟინერული მართვის მიდგომა, ანუ „მართვის ხელოვნებიდან“ „მართვის მეცნიერებაზე“ გადასვლა [5, გვ. 12]. იგივე მიზანი აქვს რეინჟირინგსაც. იგი ნახტომისებურ გაუმჯობესებაზეა მოწოდებული. რეინჟირინგი კომპანიებს სთავაზობს მართვის პროცესების საგულდაგულო კვლევას.

რეინჟირინგი განსხვავებით ინჟინერინგისგან ცვლილებების განხორციელების დროს ითვალისწინებს კლიენტების (მომხმარებლების) მოთხოვნებსაც და ამასთან ფუნქციური მართვიდან (ფუნქციური დანაყოფებით მართვა) კომპანია გადაყავს ბიზნეს-პროცესების მართვაზე.

რეინჟირინგის თეორიის დამფუძნებლები იყვნენ მეცნიერები მ. ჰამერი და ჯ. ჩამპი. მათ რეინჟირინგი უწოდეს „საქმიანი პროცესების ფუნდამენტალურ გადააზრებას და მათ შესახებ გადაწყვეტილებათა რადიკალურ ცვლილებას კომპანიის ისეთი მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად, როგორიცაა დანახარჯები, ხარისხი, მომსახურების გაფართოება და მომსახურების სისწრაფე [5, გვ. 7].

თუ ჩავთვლით, რომ საქართველოში გამომუშავებული ელექტროენერგია აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტს, ყველა დანარჩენი ზემოთდასახელებულ მაჩვენებელზე ამას ვერ ვიტყვით: დანახარჯები და აქედან გამომდინარე, ელექტროენერგიის ტარიფი მაღალია, მომსახურება, რაც ელექტროენერგიის მიენოდებაში გამოიხატება არ არის ხელმისაწვდომი საქართველოს მთელი მოსახლეობისთვის (უკიდურესი მთიანი რეგიონები გვაქვს მხედველობაში) და აგრეთვე, მომსახურება ე. ი. ელექტროენერგიის მიწოდება დღისა და ღამის საათებში ტარიფის მიხედვით არ არის დიფერენცირებული.

**დასკვნა.** სტატიაში მოცემული მსჯელობით მივდიგართ იმ დასკვნამდე, რომ

საქართველოს ელექტროენერგეტიკის ბი-  
ზნეს-პროცესები რეინჟირინგის გატარებას  
საჭიროებენ.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Верников Г. Что такой руинжикинг [http://www.consulting.ru/main/mgmt/texts/m4/040\\_cons.htm](http://www.consulting.ru/main/mgmt/texts/m4/040_cons.htm)
2. Champy J. Is reengineering dead? Don't believe it...//Harvard Management Update, March, 1999.
3. <http://www.prosci.com/factors.htm> Reengineering Success Factors.
4. Уткин Э. Бизнес-реинжикинг, М., Экмос, 1998.
5. ფერაძეგ. რეგიონშიბიზნეს-პროცესებისგანვითარების ოპტიმიზაციასაქართველოში. ავტორეფერატი, თბ., 2012.
6. Hammer M., Champy J. Reengineering the Corporation. A Manifesto for Business Revolutions. HarperBusiness, 1993.

### რეზიუმე

სტატიაში — „ენერგეტიკულ კომპანიებს პროცესებზე ორიენტირებული მართვა სჭირდებათ“ განხილულია ელექტროენერგეტიკაში პროცესული მართვა და მისი ფუნქციონალური მართვის ჩანაცვლების მნიშვნელობის საკითხი.

ნაშრომში პროცესული მართვის ყველაზე გავრცელებულ სახეთ რეინჟირინგია დასახელებული, ანუ პროცესების ისეთი ახლებური გააზრება, რომელიც კომპ-ლექსში იძლევა დაბალ დანახარჯებს, მაღალ ხარისხს, მომსახურების გაფართოებას და სისწრაფეს.

ნაშრომში დასაბუთებულია, რომ საქართველოს ელექტროენერგეტიკულ კომპანიებს ამ მაჩვენებლების გაუმჯობესება აუცილებლად ესაჭიროებათ.

### SUMMARY

#### PROCESS ORIENTATED MANAGEMENT IS NECESSARY FOR ENERGETIC COMPANIES

Bacho Rusishvili  
(Doctoral of Georgian Technical University)

In the article- “Process orientated management is necessary for energetic companies” it is discussed the process management in electro energetic and the question of its functional management substitution.

In this work the most popular type of process management is mentioned re-engineering or such new attitude to the processes which gives us low expenses in complex, high level of quality, to spread the service and fastness as well.

In the work it is proved that its necessary to improve these indicators for Georgian electro energetic companies.

Key words: re-engineering, business- processes, process management, functional management

## ქართული მუხის (Quercus iberica Stev.) კორომებში გუნდები განახლების პერიოდის შედეგები ქვემო ქართლის რეგიონში

### იაკობ კაპანაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი  
დოქტორანტი

ბოლო 20 წლის მანძილზე ევროპაში მუხნარების ფართობი საგრძნობლად შემცირდა. მუხნარი კორომების ხმობისა და მათში მიმდინარე ბუნებრივი განახლების შეფერხება საქართველოში გავრცელებულ მუხნარებშიც საკმაოდ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. აღნიშნული საკითხი საჭიროებს სათანადოდ შესწავლას, რაც შესაძლებელს გახდის შემუშავდეს პრობლემის შერბილების ან/და აღმოფხვრის ღონისძიებები.

საქართველოში ქართული მუხის კორმებს უკავიათ მთის ქვედა და შუა სარტყელი 600მ-დან — 1000-1200მ-მდე ზღვის დონიდან, სადაც განთავსებულია მოსახლეობის და ინფრასტრუქტურის ძირითადი ნაწილი (დახლოებით 70%). ამიტომ, აღნიშნული ტყები მრავალი ათეული წლების განმავლობაში განიცდიდნენ და სამწუხაროდ ამჟამადაც განიცდიან ძლიერ ზეწოლას მერქნის მოპოვების თვალსაზრისით. ძირითადად, მე-19 საუკუნისადამე-20 საუკუნისდასაწყისში, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის შეშით და ნახშირით უზრუნველყოფის მიზნით, მუხნარებში წარმოებული უსისტემო ჭრების გამო, ქართული მუხით გაბატონებული ტყის კორომები ამონაყრითი წარმოშობისანი არიან და შესაბამისად დაბალი პროდუქტიულობით ხასიათდებიან.

ქართული მუხის კორომებში წაყოფმსხმოიარობის ნელს ერთ ჰა ფართობიდან დაახლოებით 500 ათასიდან 1 მილიონამდე თესლს შეიძლება იქნას მიღებული. აქედან 95-98% ზინდება ენტო მავნებლებითა და ფიტო დაავადებებით, ყინვებით, ცხოველებისაგან და სხვა, მიუხედავად ამისა, საკმაოდ დიდი რაოდენობის აღმონაცენს ვლებულობთ (8 ათასიდან 35-40 ათასამდე).

ქართული მუხა წმინდა კორომებს ქმნის სამხრეთ ექსპოზიციის ფერდობების განუვითარებელ ნიადაგებზე, ხოლო ღრმა ნიადაგებსა და სხვა ექსპოზიციის ფერდობებზე ქმნის შერეულ კორომებს: იფანთან, თელასთან, რცხილასთან, ჯაგრცხილასთან დაა.შ. (გულისაშვილი, 1974).

ქართული მუხის ბუნებრივი განახლების მდგომარეობის შესწავლა განხორციელდა ქვემო ქართლის რეგიონში გავრცელებულ-მუხნარ კორომებში. აღნიშნულ რეგიონში ქართული მუხისა და მისი თანამგზავრი სახეობებისგავრცელების თავისებურებანი და მათი მდგომარეობა შესწავლილი იყო ტყეთმოწყობის მასალების, სამეცნიერო ნაშრომების, ლიტერატურული წყაროებისა და კვლევის ობიექტებზე ჩატარებული საველე მასალების ანალიზის საფუძველზე.

სანიმუშო ფართობების აღება მოხდა ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის: წალკა-თეთრიწყაროს, გარდაბანი-მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის სატყეო უბნების ტერიტორიებზე. სანიმუშო ფართობებისათვის შეირჩა ადგილები სხვადასხვა ტყის ტიპების, სიხშირისა და ბონიტეტის ტყის კორომებში - წმინდა მუხნარებში, მუხნარებში რცხილის, იჯნისა და ჯაგრცხილის შერევით.

სანიმუშო ფართობების ფორმად შერჩეულ იქნა წრიული ფორმა, რის შედეგადაც დადგენილ იქნა წრიული სანიმუშო ფართობისათვის მუდმივი რადიუსები, კერძოდ: 25,2 მეტრი, 17,8 მეტრი და 11,3 მეტრი (კორომის სიხშირის შესაბამისად).

ხეთა დიამეტრი დაჯგუფდა 4 სმ-იან სიმსხოს საფეხურებად დაწყებული - 8 სმ-დან ზევით. 8 სმ-მდე დიამეტრისა და 5 მეტრის სიმაღლის ხეები მიკუთვნებულია მოზარდის კატეგორიას. ყოველი სიმსხოს საფეხურისათვის დადგინდა საშუალო სიმაღლე, ხეთა რიცხვი და მერქნის მარაგი.

მუხნარების ვერტიკალური აღნაგობის (სართულიანობის) შესწავლისას გათვალისწინებული იყო, რომ მთავარი სართულის სიმაღლე ყოფილიყო არანაკლებ 15 მეტრისა, მარაგი - 30 მმ-სა; ხოლო მეორე სართულის სიმაღლე - მთავარი სართულის სიმაღლის 50%-მდე და სიხშირე კი 0.3.

ერთხნოვან მუხნარებში ხეების სიმაღლეზე ზრდის კლასების გამოყოფა მოხდა გ. გიგაურის, რ. გოცირიძის და დ. სამხარაძის (1989) მეთოდიკის მიხედვით, კერძოდ:

$$h1 = (3a+b):4; \quad h2 = (a+b):2; \quad h3 = (a+3b):4;$$

h4<(a+3b):4, სადაც h სხვადასხვა კლასის ხის სიმაღლეა, a – ყველაზე მაღალი ხის სიმაღლე, b – ყველაზე დაბალი ხის სიმაღლე.

ქართული მუხის თითოეულ ტყის ტიპში, როგორც საბურველქვეშ, ასევე ბუნებრივ ყალთაღებში, შესწავლილ იქნა ბუნებრივი განახლების მდგომარეობა. კორომში აღმონაცენ-მოზარდის რაოდენობრივი აღრიცხვა მოხდა სანიმუშო ფართობის დიაგონალზე გავლებული ერთი მეტრის სიგანის ლენტისებურ ზოლზე, ხოლო ბუნებრივ ყალთაღებში - აღმონაცენ-მოზარდის სრული გადათვლის გზით. აღრიცხვა ხდებოდა 0-20, 20-50, 50-100, 100-150 სმ და მეტი სიმაღლის გრადაციების მიხედვით. ტყის ბუნებრივი განახლების შეფასება მოხდა საქართველოს ტყეებისათვის დამტკიცებული ბუნებრივი განახლების შეფასების შეკალით, რომლის მიხედვით 0.5-0.6 სიხშირის კორომებში 0.5 მეტრისა და მეტი სიმაღლის მოზარდის რაოდენობა უნდა იყოს არანაკლებ 4000 ცალისა. მოზარდის ასეთი რაოდენობა ჩაითვლება საკმარისად ტყის აღდგენის უზრუნველსაყოფად (ჭრის წესები საქართველოს ტყეები, 2000).

თითოეულ სანიმუშო ფართობზე გაკეთდა ნიადაგის ჭრილი. ჩატარდა ნიადაგის პროფილის მორფოლოგიური აღწერა, თითოეული პორიზონტიდან აღებულ იქნა ნიადაგის ნიმუში მათი გრანულომეტრიული, ქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზებისათვის.

შერჩეული სანიმუშო ფართობების შესწავლისას როგორც აღმოჩნდა, ქართული მუხის განახლების მდგომარეობა არც ერთ ტყის ტიპში არ არის დამაკმაყოფილებელი, მცირე რაოდენობით გვხვდება აღმონაცენ-მოზარდი, მაგრამ ლატნარობის სტადიაში მუხის მხოლოდ ერთეული ეგზემპლარები შეინიშნება.

მუხნარების ადგილს კი იკავებენ ტენის უფრო მეტად მომთხოვნი სახეობები – იფანი და რცხილა.

ბუნებრივი განახლების თვალსაზრისით ვარჯის შეკრულობის მიხედვით 0,9 სიხშირის წივანიან მუხნარებში ყველა მერქნიანი სახეობისა ღმონაცენ-მოზარდის რაოდენობა მაღალია - 9864 ცალი. მათ შორის მუხის -შეადგენს 63 ცალს. მათგან მუხის საიმედო (50-150 სმ. დამეტრი სიმაღლის) მოზარდი მხოლოდ 30 ცალია, რაც, ბუნებრივია, არარის საკმარისი მუხნარების აღდგენის უზრუნველსაყოფად (საქართველოში მომქმედი ჭრის წესების მიხედვით 0.5-0.6 სიხშირის კორომში მოზარდის რაოდენობა უნდა იყოს არანაკლებ

4000 ცალისა, რომ ის ჩაითვალოს საკმარისად ტყის აღდგენის უზრუნველყოფისათვის). ამავე პირობებში მაღალია მუხის თანამგზავრი სახეობების (ძირითადად იფანი, რცხილა და ჯაგრცხილა) საიმედო მოზარდის რაოდენობა - 9864 ცალი.

მკვდარსაფრიანი მუხნარის (უერცეტუმ ნუდუმ) ტყისტიპში, ვარჯის მაღალი შეკრულობის პირობებში, ქართული მუხისა და მისი თანამგზავრი რცხილის აღმონაცენის საერთო რაოდენობა საკმაოდ მაღალია 35200 ცალი 1 ჰა-ზე. მათ შორის აბსოლუტური უმრავლესობა - 27600 ცალი მოდის მუხის აღმონაცენზე. მიუხედავად ქართული მუხის უხვი აღმონაცენი სარსებობისა, ტყეში მუხის საიმედო მოზარდი საერთოდ არ გვხვდება, რაც კორომის მაღალი სიხშირითა და ტყის მკვდარი საფრის არსებობით შეიძლება აიხსნას. მსგავსი სურათია ჩიტისთვალიან და წივანიან მუხნარებში; მიუხედავად მუხის აღმონაცენის საკმაო რაოდენობისა, მათი გადასვლა საიმედო მოზარდის კატეგორიაში არ ხდება. მცირეა რცხილისა და ჯაგრცხილის მოზარდის რაოდენობაც. ჩიტისთვალიან და წივანიან მუხნარებში მათი რაოდენობა (50 სმ. და მეტი) შეადგენს 1665 და 2034 ცალს 1 ჰა-ზე. მართალია მათი რაოდენობა მცირეა, მაგრამ მიუთითებს მუხნარებში არასასურველ სახეობათა ცვლის პროცესის ტენდენციაზე.

## დასკვნა

კვლევამ ცხადყო, რომ ქვემო ქართლის რეგიონში გავრცელებული ქართული მუხის ტყეები წარმოდგენილია თითქმის ყველა ხნოვანებითი ჯგუფის კორომებით, გარდა I და II კლასისა ე.ო. 20-40 წლის ხნოვანების კორომებისა.

მუხნარების დეგრადაცია მოიცავს ორ ძირითად მოვლენას – ეს არის ხმობა და ცუდი ბუნებრივი განახლება, რამაც მასშტაბური ხასიათი XX საუკუნიდან მიიღო, როდესაც დედამიწის გლობალური დათბობისა და ანთროპოგენური საქმიანობის გაძლიერების შედეგად ირღვევა არამარტო რომელიმე ცალკეული კომპონენტი, არამედ მთელი ეკოსისტემა.

იმის შედეგად, რომ სიმწიფის სტადიაში ხეები ეკოლოგიურად არაპლასტიკურია და გარემოს ანთროპოგენური დესტაბილიზაციის პირობებში ისინი ვერ ახერხებენ ახალ პირობებთან შეგუებას და გარდაქმნას,

იღუპებიან და თანდათანობით ხდება მათი ჩანაცვლება სხვა ნაკლებად ძვირფასი სახეობებით, რომელთა შემადგენლობა დამოკიდებულია კლიმატური და ნიადაგობრივი პირობების თავისებურებებზე.

საქართველოში, ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნულია მუხის ხმობის ლოკალური კერები, რომლებიც გამოწვეულია გვალვების შედეგად დასუსტებულ ხეებზე მავნებლების, უფრო ხშირად არაფარდაპარკვევიას, მასობრივი დასახლების ან სხვა მავნებლებისა და ფიტოდაავადებების ზემოქმედების შედეგად.

მუხის ბიოეკოლოგიდან გამომდინარე მუხნარებში ბუნებრივი განახლების პროცესი გაძნელებულია. მუხის აღმონაცენი თავისი განვითარების აღრეულ პერიოდში დიდ მოთხოვნილებას უყენებს გარემო პირობებს. კერძოდ, მოითხოვს გვერდით დაჩრდილვას ე.ნ. „ქურქს“ და ღია, განათებულ „ქუდს“; მისი აღმონაცენი ადვილად ზიანდება აღრეული ყინვებით. ამავე დროს მისი თესლი (რკო) გა-

რეული და შინაური ცხოველების საუკეთესო საკვებია და ხშირად მასობრივად ნადგურდება; აღმონაცენ-მოზარდის ზიანდება ასევე სხვადასხვა ფიტო დაავადებებით და ენტომავნებლებით. გარდა ამისა, მუხნარების დეგრადაციას ხელს უწყობს არასწორი ანთროპოგენური ფაქტორები, რაც იწვევს კორომის სტრუქტურის რღვევას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მუხნარების დეგრადაციის, ხმობისა და მათში ბუნებრივი განახლების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა გამოწვეულია ედაფურ-კლიმატური და ანთროპოგენური ფაქტორებით, მისი დაქვეითებული რეზისტენტულობით და მუხის ბიოეკოლოგის თავისებურებებით. ხოლო მუხნარ კორომებში იფნის, რცხილისა და ჯაგრცხილის განახლების ინტენსივობა კი მიუთითებს არასასურველ სახეობათა ბუნებრივი ცვლის პროცესზე.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Gigauri G. – Sakartvelos tyebi. 2004.
2. Gociridze R. – Kartuli muxis wriuli mtlianoba .”Gulbani”, Tb. 2003.
3. Gulashvili V. - Zogadi metyeveoba.Gamomc. “ganatleba” Tbilisi 1974.
4. V. Gulashvilis satyeo unstituti – agmosavlet sakartvelos kartuli muxis ekosistemebis agnagobis, zrdaganvitarebis, klimatur-edafuri tvisebebis sheswavla biologjurad mdgradi koromebis pormirebis miznit. 2009.
5. Tumanajovi I. Margalitadze N. – Kartlisa da kaxetis kedebis tyis mcenareulobis istoriistvis holocensi, Sak. Mec. Akademiis moambe, T. 27, #4, 1961.
6. Gagoshidze G. – Wabliisa da mastan tanamzardi jishebis bunebrivi tesliti ganakhleba ieliskvetyian shereul koromebshi – “sak. M, ravalmiznobriv tyebshi satyeo sameurneo gonisdziebata ekonomikur, ekol. Epeqt. Amaglebis problemebi”, shromebi, Tbilisi. 1992.
7. Kvachakidze R. - Sakartvelos tyebi.2001
8. Бахсолиани Т.Г. – Типы дубовых лесов грузии. „Сабчота Сакартвело,, Тб. 1972.
9. БлэкКА.. –Растениеипочва. «Колос», М. 1973, ст. 101-133.
10. Гигаури Г.Н. – Структура темнохвойныхибуковых лесов иеёзначение для ведения хозяйства. . Тр. Тб. ин-талеса, т.14, «Мецниереба», Тб., 1965.

## რეზიუმე

შესწავლილია ქართული მუხის (Quercus iberica Stev.) ბუნებრივი განახლების მდგომარეობა ქვემო ქართლის რეგიონში არსებულმუხნარ კორომებში. აღნიშნულ რეგიონში ტყეების არსებული მდგომარეობა და იქ ქართული მუხისა და მისი თანამგზავრი სახეობების გავრცელების ხასიათი შესწავლილი იყო ტყეთმოწყობის მასალების, ლიტერატურული წყაროებისადასაკვლევობიერებზე ჩატარებულისატაქსაციოსაველე-საძიებოსამუშაოების შედეგადმიღებული მასალების დამუშავებისა და ანალიზის საფუძველზე. შერჩეული

სანიმუშო ფართობების შესწავლისას როგორც აღმოჩნდა, ქართული მუხის განახლების მდგომარეობა არც ერთ ტყის ტიპში არ არის დამაკმაყოფილებელი, მცირე რაოდენობით გვხვდება მოზარდ-აღმონაცენი, მაგრამ ლატნარობის სტადიაში მუხის მხოლოდ ერთეული ეგზემპლარები შეინიშნება. ხოლო მუხნარ კორომებში ჩვეულებრივი იფნის (*Fraxinus excelsior*), კავკასიური რცხილისა (*Carpinus caucasica*) დაჯაგრცხილის (*Carpinus orientalis*) განახლების ინტენსივობა კიმიუთითებს არასასურველ სახეობათა ბუნებრივი ცვლის პროცესზე..

## SUMMARY

The natural renewal of Georgian oak (*Quercus iberica* Stev.) has been studied in the oak tree stands in Kvemo Kartli region. The current condition of forests and its companion species distribution character was studied on the basis of processing and analysis of the materials from the forest taxation, literature sources and field-research. While studying the selected sample areas, the situation of the renewal of the Georgian Oak is not satisfactory in any forest types, the small amount of new seedlings is found and a few number of young-growth individual trees also. And the intensity renewal of the common ash (*Fraxinus excelsior*), Caucasian hornbeam (*Carpinus Caucasic*) and Oriental hornbeam (*Carpinus orientalis*) in the Oak tree stands indicates the undesirable species process of natural changes of the species.

## EQ-ემოციური ინტელექტი – პარიტული წინაშების გასაღები

### ნინო ცერცვაძე

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
ახალი უმაღლესი სასწავლებლის ასოცირებული პროფესორი

ბოლო წლების მანძილზე ემოციური ინტელექტი სამეცნიერო კვლევის ინტერესის საგანი გახდა, ითვლება რომ პროფესიული და პირადი წარმატების მიღწევისათვის ემოციური ინტელექტს დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვეულებრივ სიტყვა „ინტელექტი“ კოგნიციასთან და აზროვნების პროცესთნ ასოცირდება. ტერმინი „ემოციური ინტელექტი“ კი გულისხმობს, რომ ყველა ადამიანი სხვადასხვა ემოციის შემცველ ინფორმაციას იღებს, ამუშავებს და განსხვავებული სახით იყენებს. მიუხედავად საკითხის აქტუალურობისა, დღემდე სადაცო, რა მოიაზრება ემოციური ინტელექტის ცნების მიღმა. არსებობს 3 განსხვავებული მოსაზრება: მაიერისა და სალოვიეს თეორიული მოდელის თანახმად ემოციური ინტელექტი არის: პიროვნების ზოგადი ინტელექტის ნაწილი. ემოცია გავლენას ახდენს აზროვნებაზე და აადვილებს გადაწყვეტილების მიღების პროცესს. 1. ემოციური ინტელექტი არის საკუთრი და სხვა ადამიანის ემოციებსა და გრძნობებზე დაკვირვების, ემოციების შემჩნევის, დისკრიმინაციისა და ამ ინფორმაციის აზროვნებისა და ქცევის მართვის მიზნით გამოყენების უნარი.

2. დანიელ გოლემანის თეორიის მიხედვით ემოციური ინტელექტი არის დასწავლილი, შეძენილი უნარი, რომელიც ცხოვრების მანძილზე გამოცდილებასთნ ერთად ყალიბდება, გოლემანი თვლის, რომ ემოციური და ზოგადი ინტელექტი თნაბრად მნიშვნელოვანია, პიროვნების ფორმირებისათვის. თუმცა მათ შერის კორელაცია არ არის.

3. მკვლევარების ნაწილი ემოციური ინტელექტს მოიაზრებს, როგორც არაკოგნიტურ უნარს, რომელიც ადამიანს ყოველდღიურ ცხოვრებისეულ საკითხებთნ გამკლავებაში ეხმარება. ეს არის ინდივიდის მიერ საკუთრი უნარების თვოთალქმა. ამ მოდელის თანახმად ემოციური ინტელექტი ინდივიდის პიროვნული ნიშანია.

თეორიული მიდგომის განსხვავება ადასტურებს საკითხის აქტუალობას. გავრცელებული მოსაზრების თნახმად ემოციური ინტელექტის შემადგენელი კომპონენტებია:

1. თვითცნობიერება – საკუთრი ემოციების ამოცნობისა და ერთმანეთისაგან გარჩევა

ვის უნარი. 2. თვითრეგულაცია – საკუთრი ემოციების გამკლავება და სიტუაციის შესაბამისად მართვა. 3. მოტივაცია – ემოციების წარმართვა მიზნის მისაღწევად. 4. ემპათია – ვერბალური და არავერბალური მინიშნებების ამოცნობით სხვის ემოციების გაგებისა და გაზიარების უნარი. 5. სოციალური უნარები – წარმატებული ინტერაქციისა და კონფლიქტების გადაჭრის უნარი.

რა არის ის, რაც წარმატებული ქმედებისთვის არის აუცილებელი და რასაც არ გვასწავლიან საგანმანათლებლო დაწესებულებებში?

„ემოციური ინტელექტი“ სწორედ ამ უხილავ ძალაზეა, დამოკიდებული, რომლის არქონის შემთხვევაში ყველაზე ჭკვიანებიც კი განწირულები არიან წარუმატებლობისთვის. მხოლოდ მათ, ვისაც შეუძლიათ სხვების გაგება, მათ მდგომარეობაში შესვლა და მათი მოტივაცია, კომუნიკაცია, ან თუნდაც ამ ყველაფრის ცოდნაზე დაყრდნობით მოქმედება, შეუძლიათ იყვნენ წარმატებულები ადამიანთა გარემოცვაში.

დღეს, სამსახურში წარმატების მისაღწევად მხოლოდ საქმის კარგად ცოდნა არ არის საკმარისი. ცოდნის შედეგებად გარდაქმნა განმსაზღვრელი ფაქტორია. ინტელექტი და ემოციები მჭიდრო ურთიერთკავშირშია და არცერთი მათგანი არ არის სამსახურში წარმატების გარანტი. ხშირ შემთხვევაში ჩვენ გვგონია, რომ რაციონალურ გადაწყვეტილებებს ვიღებთ, ბოლოს და ბოლოს ასე გვასწავლიდნენ სკოლაში. უმეტეს შემთხვევებში ჩვენს მიერ მიღებული თითოეული გადაწყვეტილების უკან ჩვენი ემოციები დგას, თუნდაც იმ გადაწყვეტილებების უკან, რომლებიც ერთი შეხედვით ძალიან რაციონალური გვგონია.

ემოციურად ინტელექტუალური ადამიანი არის ემოციურად მტკიცე, დაბალანსებული, განონასწორებული პიროვნება, რომელიც კრიტიკულ სიტუაციებში ღებულობს ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც დადებითად აისახება პირადად მასზე და გარემოზე.

ჩვენ მუდმივად ვიმყოფებით გარკვეულ ემოციურ მდგომარეობაში, რაც არსებით ზეგავლენას ახდენს ფიქრებზე, ქცევაზე და

აისახება ჩვენს კარიერულ წარმატებებსა და ურთიერთობებზე. ამიტომ მნიშვნელოვანია ვერკვეოდეთ ჩვენს ემოციებში, რეაქციებში და ვიცოდეთ მათი მართვა რთულ სიტუაციებში. სწორედ ასეთ ცოდნების და უნარების ერთობლიობას ეწოდება ემოციური ინტელექტი. კვლევებმა მრავალჯერ დაადასტურა, რომ ჩვენს ცხოვრებისეულ მიღწევებს ემოციური ინტელექტი უფრო განაპირობებს ვიდრე სხვა კომპეტენციები. ამ უნარების გავარჯიშება და ამაღლება შესაძლებელია. ამისათვის მთავარია, საკუთარ თავზე ინტესიური მუშაობა სათანადო სტრატეგიებისა და ინსტრუმენტების გამოყენება..

პირველად “ემოციური ინტელექტი” შემდეგი მიგნების ასახსნელად გაუდერდა: საშუალო ინტელექტის მქონე ადამიანები შემთხვევების 70%-ის განმავლობაში უმაღლესი ინტელექტის მქონებს სჯობდნენ. ამ ანომალიამ ბზარი გაუჩინა რწმენას, რომ წარმატების საწინდარი მხოლოდ მაღალი ინტელექტი არ არის. ათეულობით წლის განმავლობაში ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყვეს, რომ ემოციური ინტელექტი არის ის მთავარი ფაქტორი, რომელიც ბრნყინვალე მომუშავეს დანარჩენებისგან გამოარჩევს.

ემოციური ინტელექტი თითოეულ ჩენ-თაგანს აქვს. ის გავლენას ახდენს ქცევაზე, სოციალური სირთულეების გამკლავების ხარისხსა და გადაწყვეტილების მიღების თავისებურებებზე. (ემოციური ინტელექტი) 4 მთავარი უნარისგან შედგება, რომლებიც 2 კომპეტენციის ქვეშ წყვილდებიან: პიროვნული კომპეტეტიური და სოციალური კომპეტენცია. პიროვნული კომპეტეტიური კომპეტენცია: პიროვნული კომპეტეტიური არის უნარი უკეთ გაიცნოთ საკუთარი ემოციები და მართოთ თქვენი ქცევა და მიდრეკილებები საკუთარი თავის ცოდნა საკუთარი ემოციების ზუსტად აღქმის უნარი საკუთარი თავის მართვა არის საკუთარი ემოციების შესახებ ცოდნის გამოყენება იმისათვის, რომ თქვენი ქცევა მოქნილი და პოზიტიური იყოს სოციალური კომპეტენცია: სოციალური კომპეტეტიური შედგება სოციალური ცოდნისა და ურთიერთობების მართვის უნარისაგან. მისი საშუალებით სხვა ადამიანების განწყობას, ქცევასა და მოტივებს იგებთ, რაც საშუალებას გაძლევთ მათ ქცევებს ეფექტურად უპასუხოთ და გააუმჯობესოთ საკუთარი ურთიერთობების ხარისხი.

სოციალური ცოდნა სხვა ადამიანების ემოციების მიხვედრის უნარია. ურთიერთობების მენეჯმენტი არის ურთიერთობების

წარმატებით სამართავად თქვენი და სხვების ემოციების შესახებ ცოდნის გამოყენება. ემოციური ინტელექტი, ზოგადად ინტელექტი და პიროვნულობა ერთმანეთისგან განსხვავდება. ემოციური ინტელექტი ადამიანური ქცევის ფუნდამენტური ელემენტია. არ არსებობს კავშირი ზოგად ინეტელექტსა და ემოციურ ინტელექტს შორის. თქვენ არ შეგიძლიათ ინინასწარმეტყველოთ ვინმეს ემოციური ინტელექტი მისი გონიერივი შესაძლებლობების მიხედვით. ემოციური ინტელექტი მთელი რიგი უნარების მოქნილი რიგია, რომელთა შეძენა და გაუმჯობესება შესაძლებელია პრაქტიკაში. პიროვნულობა ამ რგოლის ბოლო ნაწილია. იგი მოიცავს ისეთ მიღრეკილებებს, როგორიცაა ინტროვერტიზმი და ექსტროვერტიზმი. პიროვნულობა ინტელექტი-ს მსგავსად სტაპილურია და ასაკთან ერთად ნაკლებად იცვლება, ამასთანავე მისი საშუალებით შეუძლებელია ემოციური ინტელექტის გამოცნობა. პიროვნულობა და ემოციური ინტელექტი უნიკალურ საფუძველს წარმოადგენს ადამიანის ქცევის ამოსაცნობად. რამდენად დიდი გავლენა აქვს ემოციურ ინტელექტს პროფესიულ წარმატებაზე? მოკლე პასუხია: ძალიან დიდი! მისი ფლობა აადვილებს საკუთარი ენერგიის ფოკუსირებას ერთი მიმართულებით. თქვენი ემოციური ინტელექტი გავლენას ახდენს თითქმის ყველაფერზე, რასაც დღის განმავლობაში აკეთებთ და ამბობთ.

ჩატარებული კვლევების თანახმად, საუკეთესო მომუშავეების 90% სწორედ ემოციური ინტელექტითაა დაჯილდოებული. მეორე მხრივ, ცუდი მომუშავეების მხოლოდ 20% ფლობს ემოციურ ინტელექტს. შეგიძლიათ იყოთ კარგი მომუშავე ემოციური ინტელექტის გარეშე, მაგრამ ამის ალბათობა ძალიან მცირეა. ბუნებრივია, მაღალი ემოციური ინტელექტის ქრონი ხალხი სხვებთან შედარებით უფრო მეტ ფულსაც გამოიმუშავებს საშუალოდ \$29,000-ით მეტს წლიურად (აშშ-ის მაგალითზე). ეს მიგნება ყველა ადამიანის მიმართ მუშაობს ინდუსტრიისა და მათი სამუშაო ადგილის მიუხედავად. გაგიჭირდებათ ისეთი სამსახურის მოძებნა, სადაც მუშაობის ხარისხი და ანაზღაურება მჭიდროდ არ იქნებოდა მიბმული ემოციურ ინტელექტზე. ადამიანის უნარია ემოციური ინტელექტის გაზრდა კომუნიკაცია თქვენს ემოციურ და რაციონალურ „ტვინებს“ შორის ემოციური ინტელექტის ფიზიკური წყაროა. ემოციური ინტელექტი-ს გზა ხერხემლის

ტვინიდან იწყება, სადაც მთავარი შეგრძნებები იყრის თავს და მოგზაურობს ტვინის წინა მხარისკენ. შესაბამისად, მოვლენის მიმართ ემოციური რეაქცია ჯერ კიდევ მაშინ გაქვთ, სანამ რაციონალური აზროვნება ჩაერთვება ამ პროცესში. ემოციური ინტელექტი მოითხოვს ეფექტურ კომუნიკაციას ტვინის რაციონალურ და ემოციურ ცენტრებს შორის. პრაქტიკულობა არის ტერმინი, რომელსაც ნევროლოგები იყენებენ ტვინის ცვლილების უნარის ასახსნელად. როცა პრაქტიკაშიც გამოცდით ახალ ინტელექტუალურ უნარებს, მიღიარდობით მიკროსკოპული ნეირონები ტვინის რაციონალურ და ემოციონალურ ცენტრებს შორის განლაგდება და მცირე „მკლავებით“ სხვა უჯრედებთან მიღწევას ცდილობს. თითოეულ უჯრედს შეუძლია 15,000 კავშირის დამყარება მეზობლებთან. ეს ჯაჭვური რეაქცია უზრუნველყოფს მომავალში ახალი ქცევის პრაქტიკაში მოყვანის გაადვილებას. რადგანაც თქვენ ავარჯიშებთ ტვინს ახალი ემოციური ინტელექტის მქონე ქცევებით, თქვენი ტვინი აგებს გზებს, რომლებიც საჭიროა მათი ქცევად გარდასაქმნელად. თქვენ ამაზე ფიქრის გარეშე იწყებთ ემოციური ინტელექტით გარემოცვაზე რეაგირებას. როცა ტვინი აძლიერებს ახალი

ქცევების გამოყენებას, ძველი დესტრუქციული ქცევების კავშირები მათი გამოყენების შეზღუდვასთან ერთად კვდება. დღესდღეისობით მიჩნეულია, რომ წარმატებისთვის მნიშვნელოვანია, როგორც ზოგადი, ასევე ემოციური ინტელექტი. აკადემიური წარმატების წინასწარმეტყველებისათვის გამოიყენება ზოგადად – ინტელექტი, ხოლო კარიერული წინსვლის გასაღებად შეიძლება განვსაზღვროთ ემოციური ინტელექტი. ემოციური ინტელექტი ისეთ ყოველდღიურ გადაწყვეტილებებზე ახდენს გავლენას, როგორიცაა თანამშრომლების დაქირავება, წახალისება თუ სამსახურიდან დათხოვა. ადამიანური რესურსების სპეციალისტებმა ერთი მხრივ, კანდიდატის ემოციური ინტელექტი უნდა შეისწავლონ და მეორე მხრივ გაანალიზონ თანამშრომლებში ამ კომპეტენციის დონე, რათა ზუსტად განსაზღვრონ ლიდერობის პოტენციალი. სწორი აკადემიური განათლება და პროფესიული გამოცდილება, რათემა უნდა მნიშვნელოვანია მაღალი პოზიციის დაკავებისას. თუმცა, ემოციური ინტელექტი წარმატების გასაღებად შეიძლება იქცეს, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა მენეჯერულ კიბეზე ასვლას ვიწყებთ.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- Howard Garden 1983.
- Goleman,1995 Emotional Intelligence: Whi It Matter more than IQ.
- D. Maye& Salovey,1997 Emotional Iintelligence.
- Danielle L. et al, Cognitive and emotional entelligence in young adults with Autismthout Spec-trum ,Disorder without an accompanying intellectiul or Language disorder.2014.
- [https://www.entrepreneur.com/article/241998.](https://www.entrepreneur.com/article/241998)

### რეზიუმე

არ მთავრდება მეცნიერთა დებატები იმის შესახებ, თუ რა არის მთავარი წარმატების მისაღწევად. თუ ადრე ფიქრობდენენ, რომ ინტელექტი არის მთავარი განმსაზღვრელი ადამიანის წარმატების, ახლა ემოციურმა ინტელექტმა თითქმის ჩაანაცვლა ის. ჩვენი აზრით, ემოციური ინტელექტი არამარტო მნიშვნელოვანი, არამედ განმსაზღვრელია ადამიანის ცხოვრებაში, ურთიერთობებში, შესაბამისად, წარმატების მიღწევაშიც ყველაზე დიდ ადგილს იკავებს. როგორც აღმოჩნდა, დღევანელ დღეს სიტყვა წარმატებასთან ახლოს დგას კარიერული წინსვლა.

ემოციურმა ინტელექტმა დიდი გავლენა შეიძლება მოახდინოს ცხოვრებასა და კარიერაზე. მნიშვნელოვანია სწორად გვესმოდეს, თუ რას წარმოადგენს, რატომ არის ის ასე მნიშვნელოვანი. ყოველი სამუშაო გარემო, სხვადასხვა ძალის, პერსონალური თვისებებისა და ემოციების ადამიანებისაგან შედგება, რამაც, დიდი გავლენა შეიძლება მოახდინოს მათ სამუშაოზე. ემოციური ინტელექტი საკუთრი და სხვა ადამიანების ემოციების იდენტიფიცირებას და მართვას გულისხმობს.

## **SUMMARY**

### **EMOTIONAL INTELLIGENCE – A KEY FOR CAREER ADVANCEMENT**

**Nino Tsertsvadze**

Doctor of Psychological Science,  
Associate Professor at New Higher Education Institute

Debates of the scientists about the main tool for success remain unresolved. In the past, it was commonly reported that intelligence was the most important aspect of career growth, however, now, it has been almost fully replaced by emotional intelligence. We think, emotional intelligence is not simply significant, but it is crucial in life and relationships, thus, it is the most important tool for career advancement. It appears that nowadays, a word “success” is very close to “career advancement”.

Emotional intelligence may have a significant impact on life and career. It is essential to understand what it really is and why it is so much important. Every workplace consists of people with various strengths, personality traits and emotions, which may have an influence on their work. Emotional intelligence means identification and management of one’s own, as well as other people’s emotions.

# თანამედროვე საპარლამენტო მმართველობა

## და საქართველო

### ბაქარ გვაზავა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო  
ურთიერთობების ფაკულტეტის მაგისტრი

თუ მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ მმართველობის მოდელთან დაკავშირებული პრობლემები ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა კაცობრიობის განვითარების ნებისმიერ ეტაპზე. მმართველობის ფორმა შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც სახელმწიფოში უზენაესი ხელისუფლების ორგანიზაცია, რომელიც ხასიათდება ხელისუფლების წყაროთი და ხელისუფლების ორგანოთა დამოუკიდებლობის პრინციპით ერთმანეთთან და მოსახლეობასთან. მმართველობის ფორმა სახელმწიფოში უზენაესი, სუვერენული ხელისუფლების ორგანიზაციის პრინციპით გამოიხატება. მმართველობის ფორმის მიხედვით სახელმწიფოები იყოფა ორ ძირითად სახეობად - მონარქიულად და რესპუბლიკებად.

საზღვარგარეთის ქვეყნების უმრავლესობას რესპუბლიკები წარმოადგენენ, რომლებიც თავიანთ სახეს სტაბილურად ინარჩუნებენ, ვინაიდან მმართველობის რესპუბლიკური ფორმა განმტკიცებულია კონსტიტუციით.

მსოფლიოს ისტორიის გათვალისწინებით მმართველობის რესპუბლიკური ფორმა ძირითადად ორი სახისაა: საპარლამენტო და საპრეზიდენტო. საპარლამენტო მმართველობის დროს პარლამენტი ერთადერთი კანონიერი ინსტიტუტია, რომლის ნებაზეც არის დამოკიდებული აღმასრულებელი ხელისუფლება - მინისტრთა კაბინეტი პრეზიდენტთან ერთად. სახელმწიფო მმართველობის ეს ფორმა გულისხმობს მთავრობის ფორმირებას პარლამენტურ საფუძველზე. სახელმწიფოს მეთაურს - პრეზიდენტს აქ მოკრძალებული ადგილი განეკუთვნება. თუმცა იურიდიულ ლიტერატურაში გვხვდება ამ ცნებების გაცილებით ამომწურავი კლასიპიკაცია.

კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი, მათე შუგარტი თავის გამოკვლევაში „პრეზიდენტისა და პარლამენტის შესახებ“ ხუთ განსხვავებულ მოდელს გვთავაზობს:

- „ნმინდა“ საპრეზიდენტო;
- პრეზიდენტი პრეზიდენტთან ერთად;

- საპრეზიდენტო-საპარლამენტო;
- პარლამენტი პრეზიდენტთან ერთად;
- „ნმინდა“ საპარლამენტო.

როგორც ვხედავთ, შუგარისტული კლასიფიკაცია საკმაოდ სრულია, მაგრამ ამგვარ მსჯელობას უფრო თეორიული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე პრაქტიკული. გარდა ამისა, აღნიშნულ მოდელთა მსგავსი ვარიანტები რესპუბლიკური მმართველობის შერეულ სისტემას უფრო ეხმანება. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მეტად მისაღები კლასიკური ორსახოვანი კლასიფიკაცია საპრეზიდენტო და საპარლამენტო რესპუბლიკების სახით, თუმცა ყველა ქვეყანა არ ენერება ასეთი კლასიფიკაციის ჩარჩობში. იურიდიულ ლიტერატურაში საკმაოდ აქტიურად განიხილება შერეული მმართველობის ფორმის სახელმწიფოები, რომლებიც ერთდროულად მოიცავენ საპრეზიდენტო და საპარლამენტო რესპუბლიკის ნიშნებს.

გარკვეული ექსპერტთა ჯგუფი ხედავდა რისკის ფაქტორებს საპარლამენტო მართველობაში. ისინი ეჭვ ქვეშ აყენებდნენ მოსაზრებას, რომ საპარლამენტო სისტემები მმართველობის სხვა სისტემებს სჯობია. მათი აზრით, საპარლამენტო სისტემებს ხარვეზები აქვს, რომლებიც ხშირად უგულებელყოფილია ამ სისტემის მომხრეების მიერ. ეს ხარვეზები შეიძლება გამოვლინდეს შემდეგნაირად: საპარლამენტო სისტემებს შეუძლიათ რეგიონალურ დაძაბულობათა დამძიმება, საპარლამენტო სისტემები ხელს უწყობს პარტიების დანაწევრებას, საპარლამენტო სისტემა ხელს უშლის ბიპარტიულ კონკერაციას, საპარლამენტო სისტემა ამუხრუჭებს სამინისტროების რეალურ ხელმძღვანელუნარიანობას.

### პარალელი საქართველოსთან

თანამედროვე პარლამენტარიზმის უშუალო წინაპრად ინგლისის პარლამენტი მოიაზრება. პარლამენტარიზმის წარმოშობისა და დამკვიდრების ისტორიას არც საქართველოს მიღმა ჩაუვლია. პირველი ქართული პარლამენტი, ოპოზიციონერების და მათი

ლიდერის, ყუთლუ არსლანის აზრით, ორი “პალატისაგან” უნდა ყოფილიყო შედგენილი: 1. “დარბაზი” – არისტოკრატების და გავლენიანი მოქალაქეების საკრებულო, რომლებიც დროდადრო შეიკრიბებოდნენ და მიიღებდნენ გადაწყვეტილებებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ. გადაწყვეტილებების შესრულება ეკისრებოდა მეფეს. 2. “კარავი” – ორგანო, რომელიც იმუშავებდა განუწყვეტლივ, დარბაზის მოწვევებს შორის. ამ ფაქტს მეცნიერები სამართლიანად მიიჩნევენ XIII საუკუნის ინგლისის „თავისუფლებათა დიდი ქარტიის“ ნინამორბედად, რომლითაც მნიშვნელოვნად შეიზღუდა ინგლისის მეფის ძალაუფლება.

აქვე უნდა აღინიშნოს, საქართველოს საპრეზიდენტო მართველობის საპარლამენტო მართველობისაკენ გადადგმული ნაბიჯები. საქართველოს კონსტიტუციის 2010 წლის და, დღეის მდგომარეობით, უკანასკნელი ცვლილების მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტს ჩამოერთვა მთელი რიგი ფუნქციები და შეეკვეცა უფლებამოსილებები. სამართლიანად აღნიშნავენ ხოლმე, რომ საქართველოს სახელმწიფო მოწყობა აღარ არის „სუპერ საპრეზიდენტო“. მართალია ისიც, რომ გაძლერდა პრემიერ მინისტრის, როგორც მთავრობის მეთაურის როლი და შესაბამისად ფართოდ განისაზღვრა ამ ინსტიტუტის ფუნქციები და უფლებამოსილებები. თუმცა გამაოგნებლად მაშტაბური უჯულვებელყოფა მოხდა იმისა, რომ, სუფთად საპარლამენტო სახელმწიფო მმართველობის მოდელებისგან განსხვავებით, საქართველოს პრეზიდენტს ქართველი ხალხი პირდაპირი წესით ირჩევს და მას განსაკუთრებულად მაღალი ლეგიტიმაციის ხარისხი გააჩნია.

საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევს, თუ რა გზას არჩევს საქართველო. იგულისხმება ძალზედ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, ქვეყნის მმართველობის ფორმა, რადგან სახეებზეა ძალზედ ძირეული ცვლილებები კონსტიტუციაში. ვხედავთ, თუ როგორ კინიდება პრეზიდენტის ინსტიტუტი და პარალეურად იზრდება პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტი.

საქართველოს კონსტიტუციის არაერთი მუხლი, ძალიან ჰგავს გერმანულ კონსტიტუციას. გერმანიამ უდიდესი და ურთულესი გზა განვლო იმისათვის, რომ ჩამოყალიბებულიყო ევროპის ერთ-ერთ მონინავე სახელმწიფოდ. ამისათვის კი აუცილებელი იყო ქვეყნის სწორი და კონსტიტუციური მმართველობა.

გერმანია გახლავთ, ძლიერი საპარლა-

მენტო რესპუბლიკა დანაწევრებული აღმასრულებელი ხელისუფლებით. გერმანიაში არსებული საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელი მსოფლიოს სხვა ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში ნელ-ნელა იკიდებს ფეხს. თუმცა, ტრანსფორმაციის პერიოდში, ამ ქვეყნებში მცხოვრები მოსახლეობისთვის, ხშირ შემთხვევაში რთულად აღსაქმელი და მიუღებელი ხდება პრეზიდენტის უკანა პლანზე გადაწევა. ჩემი აზრით, მსგავსი სახესხვაობა გამოწვეულია რეგიონული პოლიტიკური კულტურით, ვინაიდან ეს უკანასკნელი ყველა სახელმწიფოს შიგნით განსხვავებულია.

საქართველოს პარლამენტის განმტკიცება ბოლო წლებში ძირითადად ხორციელდება ტექნიკური დახმარების გზით, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დასავლური ქვეყნების მთავრობების დაფინანსებითა და ხელშეწყობით.

დონორი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტები იმდენად ბევრია, რომ საქართველოს პარლამენტს დასჭირდა ყველა ღონისძიება ერთიან ჩარჩოში მოქმდია საერთაშორისო დახმარების ოპტიმიზებისა და მისი ეფექტურობის გაზრდის მიზნით. ამ პროექტებში იგულისხმება, სამოქალაქო საზოგადოების კანონშემოქმედების პრეცესში ჩართვა, საპარლამენტო ზედამხედველობა, ანგარიშვალდებულება და გამჭირვალობის პროგრამა. ასევე ევროკავშირის საპარლამენტო რეფორმის პროექტი საქართველოში, სამხრეთ კავკაშირი გენდერისა და პოლიტიკის პროგრამა.

ძნელია შეფასდეს ის, თუ რამდენად ეფექტურია პარლამენტის განვითარებაზე განეული ხარჯები. მომდევნო პროექტების დასაგეგმად სასურველი იქნებოდა პარლამენტის შიგნით კვლევის ჩატარება ყველაზე პრობლემური საკითხების დასადგენად. თუმცა ის, თუ რამდენად იზრდება ამ ხარჯების შედეგად პარლამენტის მიერ საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და საზედამხედველო ფუნქციების შესრულება დამოკიდებულია არა მარტო ამ დახმარებაზე, არამედ ისეთ გარე ფაქტორებზეც, როგორებიცაა ქვეყნის კონსტიტუციური მოწყობა, პოლიტიკურ ელიტაში დამკვიდრებული პოლიტიკური კულტურა და კანონის უზენაესობის პრინციპის დაცვა ხელისუფლების სხვა სტრუქტურების მიერ. ამ სამი მიმართულებით წინსვლის მიღწევის გარეშე პარლამენტისათვის განეული დახმარება მოკლევადიან პერსპექტივაში ნაკლებად შედეგიანი იქნება.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა - მმართველობის ფორმის პრობლემა.
2. საქართველოს კონსტიტუცია - თავი IV "საქართველოს პრეზიდენტი"
3. <http://www.spiegel.de/politik/>
4. <http://parliament.ge/ge/>
5. <http://www.nplg.gov.ge/>

## რეზიუმე

აღნიშნული სტატიის მიზანია, რომ ნათლად დაგვანახოს ევროპული პარლამენტარიზმისა და საქართველოს შედარებითი კვლევითი ანალიზი. აღსანიშნავია, საქართველოს მიერ გადადგმული მეაფიონ ნაბიჯები, რომელშიც იგულისხმება საპრეზიდენტო მმართველობიდან საპარლამენტო მმართველობაზე გადასვლა. ჩვენი ქვეყნის წინაშედგას უდიდესი გამოწვევები, რომელსაც ქართულმა სახელმწიფომ ღირსეულად უნდა უპასუხოს.

საქართველო დგას ევროპულ ფასეულობებზე და ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპულ გამოცდილებას. ძალზედ ღირებულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამები - „საპარლამენტო დემოკრატიის სისტემის გაძლიერება საქართველოში“ - რომელიც მხარს უჭერს საქართველოს პარლამენტის ჩართულობას „ღია მმართველობის პარტნიორობაში“ საკანონმდებლო ღიაობის სამოქმედო გეგმის ვალდებულებების შემუშავებისა და განხორციელების მეშვეობით. ამ მხრივ საქართველომ წელიწადზე ნაკლებ დროში თვალსაჩინო პროგრესს მიაღწია. სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველოს პარლამენტმა შექმნა „ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო“ (შემდგომში - „საბჭო“) - პარლამენტის მუდმივმოქმედი ორგანო, რომელიც სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაზეა პასუხისმგებელი. მართალია საქართველო განაგრძობს წინსვლას, მაგრამ ამ კუთხით გასაკეთებელი კიდევ ბევრია.

## SUMMARY

### Modern Parliamentary Government and Georgia Bakar Gvazava

Master of Law and International Relations, Georgian Technical University

The aim of the present article is to demonstrate a comparative analysis of European and Georgian parliamentary systems. It is important to highlight the strict steps, taken by Georgia, which led to substitution of presidential system by parliamentary government. Our country faces grand challenges and Georgian state must respond to them with dignity.

Georgia is based on European values, thus, European experience is extremely important for us. The programs, funded by European Union, such as "Strengthening the System of Parliamentary Democracy in Georgia", supporting the parliament of Georgia in the involvement process in Open Government Partnership through development and implementation of legislative openness action plan commitments – is very valuable for us.

In this regard, Georgia made a significant progress in less than a year. In the frames of Action Plan, the parliament of Georgia founded "Open Governance Permanent Parliamentary Council" (hereinafter referred to as "council") – a constantly operative institution, which is responsible for development and implementation of the Action Plan.

# პენიტენციური დანაშაულობების სამართლებრივი ანალიზი

## ოთარ ზალიკაშვილი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის მაგისტრი

დანაშაული ეს არის საზოგადოებრივად საშიში, მართლსაწინააღმდეგო დაბრალეული ქმედება, რომელიც კანონით ისჯება. პენიტენციური დანაშაულობა კი კრიმინოლოგის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილია. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული. დანაშაულის ცნება კი აგებულია დანაშაულის სამსაფეხურიან სისტემაზე. დანაშაულის სისტემის ელემენტებია: ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა უნდა გავიგოთ როგორც წინააღმდეგობა კულტურის ნორმებისადმი, ხოლო ბრალი, როგორც ნორმატიული შეფასებითი კატეგორია.

ქმედება, როგორც ადამიანის თავისუფალი ნებელობითი აქტი, გარეგნულად ძირითადად მოქმედებით გამოიხატება. ადამიანის ნებელობითი მოქმედება არის ადამიანის შეგნებული, მიზანდასახული ზემოქმედება გარე სამყაროზე. ნებელობით ქმედებაში ორი მხარეა - ობიექტური და სუბიექტური. მოქმედების სუბიექტური მხარე ისაა, რომ მოქმედება განსაზღვრულ მიზანს ისახავს და განსაზღვრული მოტივებით არის წარმართული. მოქმედების ობიექტური მხარე კი ის არის, როცა მიზნის მისაღწევად ადამიანიზე მოქმედებას ახდენს გარე სამყაროზე სხვადასხვა სახის აქტიური მოქმედებით.

ძირითადად, პენიტენციურ დაწესებულებებში ჩადენილი დანაშაულებიდან შეგვიძლია გამოვყოთ: თავის არიდების მცდელობა, იქნება ეს თავისუფლებით აღკვეთის ადგილიდან გაქცევა, თუ სხვა რაიმე ქმედება, რომლითაც პირიცდილობსთავიდანანირიდოსსასჯელი. ძალადობრივიდანაშაულები, რომელიც მოიცავს ფიზიკურ ძალადობას (ჯანმრთელობის დაზიანება, ხულიგნობა, მკვლელობა, სხივი სიცოცხლისთვის განზრახსაფრთხის შექმნადაა.შ.). ასევეფსიქიურიტრავმისმიყენება (მუქარა, იძულება, შანტაჟიდაა.შ.). ყურადღება უნდა გავამახვილოთ, ადამიანის თავისუფლების შეზღუდვაზე (თავისუფლების აღკვეთა, მძევლად ხელში ჩაგდება, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში უკანონოდ და ძალის მიერად მოთავსება), ქონებრივი ძალადობა (ვანდალიზმი, მასო-

ბრივი არეულობა რასაც თან ახლავს ქონების განადგურება და ა.შ.) ზოგიერთ შემთხვევებში იკვეთება ხელისუფლების ძალადობა, რასაც თან ახლავს ისეთი პირობების შექმნა, რომლის გამოც პიროვნება იძულებულია შეასრულოს სხვისი ნება (სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტება, უკანონო დაკავება და სხვა.)

ცალკე პუნქტად განიხილება ნარკოდანაშაული, ნარკოტიკებისა და სხვა აკრძალული ფსიქოტროპული ნივთიერებების მიღება, რომელიც გასული საუკუნის მიწურულიდან ერთ-ერთ მწვავე პრობლემად და გამოწვევად იქცა ჩვენი ქვეყნისთვის და დღემდე ასეა. ამასთან ერთად არ უნდა დაგვავიწყდეს სქესობრი ვიდანაშაულები, ეს არის ძირითადად გაუპატიურება, ძალადობა, რომელიც ხშირად გამოხატულია გაუკულმართებულ ფორმაში და ზოგჯერ სუბიექტს ასეთი დანაშაულის მსხვერპლი, სუიციდამდეც კი მიჰყავს.

აგრეთვე, მასობრივი დანაშაულებრივი ქცევები, რომლებიც თავისთავში მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორებიცაა კონკრეტულ პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულები, კერძოდ: ხულიგნობა, მკვლელობა, ძალადობა და ა.შ. აგრეთვე ისეთი ქცევები, რომელსაც სჩადის მსჯავრდებულთა დიდი რაოდენობა, მაგალითად: მასობრივიშიმშილობა, პენიტენციიარული სისტემის პირობების იმგვარად დარღვევა, რომელიც საფრთხეს უქმნის საყოველთაო წესრიგს და რათქმაუნდა პირთა ეს ქმედებები საჭიროებს დროულ პრევენციას, რადგან ეს ყველაფერი შემდგომში არ გადაიზარდოს უფრო დიდ პრობლემებში და არ გამოიწვიოს სხვადასხვა საშიში დანაშაულის ჩადენა, რადგან ამ დანაშაულთა დროს, პიროვნებათა ერთი კონკრეტული ჯგუფი, თვითნებურად იღებს გადაწყვეტილებებს და დაუშვებელია მათი კონტროლის დამყარება ნებისმიერი ფორმით პენიტენციიარულ დაწესებულებაზე. დაბოლოს, სხვადასხვა ძალადობრივი ქცევები, რომლებიც მოიცავს ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენებას, სიცოცხლის მოსპობას, იძულებას, მუქარას და სხვა მძიმე დანაშაულებს.

გასათვალისწინებელია, თავისუფლების

აღკვეთის ფუნქციები და სისხლის სამართლებრივი როლი, რომლებიც გამოიხატება შემდეგში :

1. იძულება-თავისუფლების აღკვეთის აღსრულებისას ეს ფუნქცია სხვა სასჯელთან შედარებით უფრო გამოხატულია და მდგომარეობს უფლებათა შეზღუდვის მთელ სისტემაში, (მსჯავრდებულთა იზოლაცია, ცხოვრების მთელი განაწესის რეგლამენტაცია რეჟიმის სახით, განსაზღვრული შრომა და სწავლება, სავალდებულო აღზრდა და სხვა.)

2. რესოციალიზაცია, რომელიც თავისთვის გულისხმობს დამნაშავის გამოსწორებას რეციდივის დაუშვებლობისა და მისი პიროვნების ხელახალი აღზრდის მიზნით, სხვანაირად - ეს არის მსჯავრდებულის დაპრუნება ცივილიზაციის წილში, რესოციალიზაციის წესრიგი რეგლამენტირებულია სასჯელადსრულების კანონმდებლობით, საუწყებო ნორმატიული აქტებითა და სხვა.

3. სოციალური კონტროლი-ხორციელდება ადმინისტრაციის მიერ მსჯავრდებულთა ქცევის მკაცრი რეგლამენტაციის გზით, წახალისებისა და დისციპლინური გადაცდომისთვის დასჯის ღონისძიებათა სისტემით, აგრეთვე, საზოგადოებრივი და საქველმოქმედო ორგანიზაციების მიერ.

4. ზოგადი პრევენცია - წილავს თავისუფლების აღკვეთის დანიშვნით დანაშაულთა ჩადენის თავიდან აცილებას სხვა პირთა მიერ. ეს ყველაფერი შეიძლება მიღწეული იქნეს სხვადასხვა ფორმებით, მაგალითად, მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდების გზით, კერძოდ, პრევენციული მნიშვნელობით შეიძლება გამოყენებულიქნას სხვადასხვა სახის სტატისტიკა, რადიო გადაცემები, დოკუმენტური ფილმები, ტელეგადაცემები, სტატიები გაზიერებსა და უურნალებში დასხვა.

5. სპეციალური პრევენცია- რომელსაც ადგილი აქვს ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით იმ პირებთან მიმართებით, რომლებსაც უნიშნავენ თავისუფლების აღკვეთას.

რაც შეეხება, პენიტენციურ სისტემაში ჩადენილ დანაშაულობებს, შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანია, კრიმინალურ სუბკულტურასთან ბრძოლა. ალბათ ლოგიკურია, რომ ამ საკითხის მიმართ ჩნდება უამრავი კითხვა. მაგალითად: რა მეთოდებით შეიძლება კრიმინალურ სუბკულტურასთან ბრძოლა? ვინ შეიძლება განახორციელოს კრიმინალური სუბკულტურის პრევენცია?

საკითხი მეტად მწვავე და აქტუალურია.

კრიმინალური სუბკულტურა და მისი სუბიექტები, უნდა აღვიქვათ, როგორც ერთი დიდი პენიტენციური სისტემის მართვის ბერკეტი, რომელიც გამოიყენება დანაშაულის ჩასადენად.

ვფიქრობ, ისევე როგორც პენიტენციური დანესებულების გარეთ დამკვიდრებულ სუბკულტურასა თუ დანაშაულთან ბრძოლის მეთოდებით, შესაძლებელია დანესებულებებში კრიმინალური სუბკულტურის გამოვლენა და დანაშაულის დონის მინიმუმამდე დაყვანა. ერთ-ერთი ძირითადი აღმასრულებელი ხელისუფლების ადმინისტრაციული ორგანო, რომელსაც ამის ძალა და უნარი შესწევს, გახლავთ სასჯელაღსრულებისა და პროცესის სამინისტრო. აგრეთვე, სხვა ძალოვანი ორგანოები, რომელთა ერთიანი, ურთიერთშეთანხმებული და კარგად დაგეგმილი მოქმედებების შედეგად შესაძლებელია პრობლემის გადაჭრა.

პირველ რიგში, უნდა ჩამოყალიბდეს შესაბამისი სამინისტროსადმი დაქვემდებარებული უწყება, რომელიც მკაფიოდ შეისწავლის აღნიშნულ საკითხს და კომპეტენტურ პირებთან ერთად დაგეგმავს პრობლემის მოგვარების გზებს. ერთ-ერთი გზა საკითხის გადაწყვეტისა არის, სასჯელაღსრულების დანესებულებაში მოხვედრისთანავე, პირვენების ბიოგრაფიის შესწავლა, გასაუბრება, როგორც ფსიქოლოგის ისე შესაბამისი უფლებამოსილი პირისა, და ამის მიხედვით პატიმართა გადანაწილება შესაბამისი დონის სასჯელაღსრულების დანესებულებებში. ასევე, პატიმართა ლიფერენციაცია, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, განზრახვისა და პიროვნული მახასიათებლის მიხედვით. ასეთი გზებით შესაძლებელია კრიმინალური სამყაროს წევრების იზოლირება არაკრიმინალურ, შედარებით უფრო მსუბუქი დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებული პირებისაგან. არ შეიძლება ყაჩაღობისათვის, ქურდობისათვისა და ძარცვისათვის გასამართლებული პირი, მოვათავსოთ ეკონომიური დანაშაულისთვის გასამართლებულ პირთან, რადგან ასეთ პირზე ზემოქმედებისა და კრიმინალური სუბკულტურის გავრცელებების რისკი მეტად დიდია. ასევე ყურადღება უნდა გამახვილდეს კრიმინალური სუბკულტურის მატარებელი პირების სამაგალითოდ დასჯაზე და იზოლაციაზე (რათქმაუნდა, აქ არ იგულისხმება მათი პიროვნული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა). ეს და კიდევ მრავალი ხერხი, მიმართა, რომ ხელს შეუწყობს კრიმინალური სუბკულტურის მო-

შლასა და კრიმინალური სამყაროს გავლენების შემცირებას.

საბოლოოდ, მინდა აღვნიშნო და რეკომენდაციის სახით ჩამოვაყალიბო ის ძირითადი ფაქტორები, რომლის განხორციელების შემთხვევაშიც საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პენიტენციარულ დაწესებულებათა საქმიანობა გახდება უფრო გამჭვირვალე, კანონზე მორგებული, გამართული და ლია.

მარტო სახელმწიფოს ფუნქცია და მოვალეობა როდია იზრუნოს პენიტენციარული დანაშაულობის აღმოფხვრასა და თავიდან აცილებაზე. საჭიროდ მიმაჩნია ამ სფეროში სხვა ისეთი ორგანოების ჩართვა, რომელთა საქმიანობაც მიმართული იქნება სწორედ ჩვენი განსახილველი თემის უკეთესობისკენ ნარმართვაზე. მგონია რომ ისეთი პროფესიული უწყებების ჩართვა, როგორიცაა ფსიქოლოგთა გაერთიანება, განრიდების პროგრამის მუშავთა საქმიანობა, აგრეთვე, სხვა პროფესიული ცენტრები, რომლებიც ანხორციელებენ საზოგადოებრივ საქმიანობას, ხელს შეუწყობს დასახული მიზნის მიღწევას.

ჩვენთვის ცნობილია, რომ სასჯელაღსრულებისა დაპრობაციის სამინისტროს საქმიანობა დღითიდლე უმჯობესდება, იქმნება ახალი დაწესებულებები, ასევე მაკონტროლებელი ორგანოები და სხვადასხვა სუბიექტები, რომელთა საქმიანობაც დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა არსებობს მთელი რიგი ჩვენს მიერ ჩამოთვილილი ხარვეზები, რომელთა შესრულებაც თუმცა ციხის აღმინისტრაციის და შესაბამისი ორგანოების ვალია, მაგრამ სათანადოდ არ ხორციელდება ამ ვალდებულების ჯეროვნად შესრულება.

ვფიქრობ, დღესდღეობით არ ხდება დამნაშავის იმ სოციუმში იმავე სახით დაბრუნება რა სახითაც იგი ცხოვრობდა პენიტენცია-

რულ დაწესებულებაში მოხვედრამდე, რადგან ციხე არის აბსოლუტურად სხვა გარემო სადაც ადამიანს იქ მოხვედრის შემთხვევაში რადიკალურად ეცვლება აზროვნება და ფსიქოლოგია. ასევე მისი უფლებების უხეში დარღვევის შემთხვევაში იმის მაგივრად რომ პირი სოციუმს დაუბრუნდეს და განაგრძოს ნორმალური ცხოვრება, ხშირ შემთხვევაში დაწესებულებას ტოვებს რადიკალურად განსხვავებული აზროვნებითა და ცხოვრების წესით. არსებობს მოსაზრება, რომ ციხე აკადემიაა, დიას ეს არის აკადემია თუმცა სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს იმ პირთა დაცვა ამ ეგრედნოდებული აკადემიისგან და მოაპრუნოს იგი ნორმალური ცხოვრებისკენ და არა პირიქით, უბიძგოს იქითკენ, რომ გახდეს იმ სოციუმის ნაწილი რასაც დანაშაულებრივი სამყარო ჰქვია.

საჭიროდ მიმაჩნია ისეთი სარეაბილიტაციო ცენტრების შექმნა, რომლებიც პიროვნების მიერ დაწესებულების დატოვების შემდეგ თვალყურს მიადევნებენ და სხვადასხვა გზით იზრუნებენ ამ პირის საზოგადოებაში ხელახალი ინტეგრაციისაკენ.

რაც შეეხება, პენიტენციარულ დანაშაულობასთან ბრძოლის მეთოდებსა და მექანიზმებს, მიმაჩნია, რომ აქ ბევრად უფრო მეტია გასაკეთებელი, არსებობს გავრცელებული შეხედულება, რომ ფსიქოლოგთა მუშაობა დასაქმიანობა მსჯავრდებულებთან ხელს უწყობს სისტემაში დანაშაულთა კლებასა და პრევენციას, რათემაუნდა ფსიქოლოგიის და სხვადასხვა ორგანოების ჩართულობა მეტად მნიშვნელოვანია, საჭიროა სახელმწიფოსა და ამ სუბიექტების ერთიანი ჩართულობა რათა გადავჭრათ ყველა აღნიშნული პრობლემა კომპლექსური ანალიზითა და მოქმედებით.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. გაბუნია. მ, გახოკიძე. ჯ. „კრიმინოლოგია“ . თბილისი 2013.
2. წულაძა. ზ „„კრიმინოლოგია“ (ზოგადი ნაწილი) 2003.
3. შალიკაშვილი. მ., მიქანაძე. გ, ხასია. მ „სასჯელაღსრულების სამართალი“ 2014.
4. <http://www.moc.gov.ge/>
5. <http://probation.moc.gov.ge/>

## რეზიუმე

წარმოდგენილ სტატიაში, ყურადღება გამახვილებულია, ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: თუ რას მოიცავს ზოგადად პენიტენციური დანაშაული, ვინ არიან ამ დანაშაულის ჩამდენი სუბიექტები, გამომწვევი მიზეზები და მასთან ბრძოლის მექანიზმები, გარდა ამისა პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა მექანიზმები. ასევე ის ძირითადი საკითხები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია პენიტენციარულ დანაშაულობასთან.

ზემოთ, აღნიშნული დანაშაულობა, ეს არის იმ დანაშაულთა ერთობლიობა, რომლებიც ჩადენილია სასჯელად სრულების დანესებულებებსა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში.

აღნიშნული პრობლემატიკის მოსაგვარებლად აუცილებელია, იმ ხერხებისა და მეთოდების სწორად გამოყენება, რომელიც წარმოდგენილია სტატიაში. მათი მართლზომიერი გამოყენება, მოგვცემს იმ შედეგს, რომელიც უნდა ახასიათებდეს დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოს.

## ABSTRACT

### LEGAL ANALYSIS OF PENITENTIAL OFFENCE

Otar Zalikashvili

Ilia State University, Master of Laws

The present article emphasizes the issues, such as - what penitential offence generally means, who are the subjects, committing the crime, what are the causes and mechanisms for combating it, as well as different ways to solve the above-mentioned problem. The article also discusses the basic topics, indirectly connected to penitential offense.

To find the solution for the above-noted problem, it is essential to use the methods, described in the present article. Legitimate use of these methods will give us the result, which should be a trait of a democratic and legitimate state.

# ВОПРОСЫ ВНЕШНЕЙ ПОЛИТИКИ АРАБСКИХ ГОСУДАРСТВ

ГУРАМ МАРХУЛИЯ

Доктор исторических наук, профессор Сухумского Государственного университета  
(Грузия)

Кардинальные сдвиги на мировой арене, ломка привычной, сложившейся за послевоенные десятилетия структуры международных отношений не могут не оказывать прямого и далеко неоднозначного воздействия на положение в различных частях планеты, тем более в таких обширных, многообразных и бурлящих внутренними конфликтами, как Арабский регион, простирающийся от побережья Атлантики до Персидского залива, с населением, приближающимся к двухсемимиллионной отметке. В свою очередь, от того, как пойдет дальнейшее развитие обстановки в регионе, будет в немалой степени зависеть политическая погода в мире, сохранен не благотворной тенденции к потеплению международного климата.

Нарастание веса арабского мира в глобальной политике, на наш взгляд, объективно обусловлено двумя главными обстоятельствами: переориентацией оси основного противоречия, вокруг которой развиваются современные международные отношения, с направления Восток-Запад на Север-Юг и сохранением в обозримом будущем ведущей роли арабских стран в качестве экспортёров нефти.

Арабские страны, представляют собой общее геополитическое, лингвистическое, культурное и религиозное пространство<sup>1</sup>. Каждому из этих государств присуща своя специфика, уникальное место в международных отношениях, собственная внешняя политика, особенности формирования внешнеполитического курса и принятия внешнеполитических решений. Однако их сходство по таким критериям, как централизация власти, широкие полномочия главы страны, высокая роль государства в экономике, стремление властей к проведению патерналистской социальной политики, место армии в политической системе, влияние

элементов традиционного общества, общность религии, политизация ислама и другие факторы, позволяют выделить много общих черт у арабских стран в том, что касается внешнеполитического процесса.

Внешнеполитические ресурсы каждой отдельной арабской страны – это ее совокупный потенциал, который может быть использован во внешней политике для осуществления действий, направленных на достижение результатов на международной арене. ТERRITORIALLY-GEOGRAFICHESKIE внешнеполитические ресурсы арабских государств характеризуются благоприятным геополитическим положением, близостью к европейским странам<sup>2</sup>, выгодным положением на перекрестке транзитных путей из Африки и Азии в Европу. Наибольшими геополитическими преимуществами обладает Египет, которому принадлежит Синайский полуостров, связывающий африканский и азиатский континенты, а через Суэцкий канал проходит морской путь из Индийского океана в Средиземное море и Атлантику. К негативным территориально-географическим ресурсам относятся близость многих арабских государств к региональным конфликтам и районам нестабильности<sup>3</sup>. Через арабские страны идут миграционные потоки. Также отрицательную роль играет неравномерность размещения народнохозяйственного комплекса и населения на пространствах отдельных стран. Пустынный и полупустынный характер территории только усиливает концентрацию людей в приморских районах. К примеру, в столице Египта Каире проживает около 20 млн человек, что составляет приблизительно пятую часть населения страны. Демографические ресурсы арабских стран также нельзя оценить сугубо положительно или отрицательно. С одной стороны, ряд государств располагает большим населением, которое

1 Занимают территорию Северной Африки и Западной Азии площадью 14 млн км<sup>2</sup>. К арабскому миру принято относить 22 страны-члена Лиги арабских государств, то есть Алжир, Бахрейн, Джибути, Египет, Иорданию, Ирак, Йемен, Катар, Коморские острова, Кувейт, Ливан, Ливию, Мавританию, Марокко, Объединенные Арабские Эмираты, Оман, Саудовскую Аравию, Сирию, Сомали, Судан, Тунис и Палестинскую национальную администрацию, хотя палестинцы не добились создания суверенного государства, а в ряде стран (Джибути, Коморские Острова, Мавритания, Сомали, Судан) арабы составляют меньшинство населения

2 Особенно для стран Северной Африки

3 Палестина, Судан, Йемен, Ирак, Ливан.

потенциально может быть занято в экономике<sup>1</sup>. Но для не нефтяных арабских государств характерна высокая безработица (14,4% в среднем для арабского мира в 2005 г.) [1] С другой стороны, недостаток квалифицированных кадров приводит к тому, что нефтедобывающие страны Персидского залива вынуждены восполнять нехватку рабочей силы путем привлечения иностранных рабочих, которые в ряде стран<sup>2</sup> составляют от четверти до 80 % населения. Согласно «Докладу о человеческом развитии арабских стран», доля городских жителей в 2005 г. достигла 55 %, а к 2020 г. превысит 60 %. Молодежь в возрасте до 25 лет, которая сталкивается с проблемами социальной адаптации, составляет 60 % населения арабских государств.[2]. Проживание на их территории представителей различных этносов<sup>3</sup>, конфессий<sup>4</sup>, приверженцев различных направлений в исламе<sup>5</sup> скрывает в себе конфликтный потенциал, который неоднократно приводил к напряженности и вооруженным столкновениями на межэтнической и межконфессиональной почве<sup>6</sup>. Шиитские меньшинства, традиционно проживающие в аравийских монархиях, внушают опасения правящим режимам в связи с возможностью использования их Ираном для подрыва стабильности арабских государств. Что касается экономических ресурсов, то арабские страны относятся к числу развивающихся. ВВП всех 22 государств вместе взятых, по данным ПР ООН за 2002 г., меньше, чем в Испании, и более чем вдвое уступает американскому штату Калифорния[3]. Для большинства государств арабского мира остается актуальной проблема бедности, так как 20,3 % населения арабского мира живет менее чем на два доллара в день. Государства Персидского залива имеют богатейшие запасы нефти. Согласно «Статистическому обзору мировой энергетики», составленному в 2007 г. Кампанией British Petroleum, наибольшими углеводородными ресурсами обладают: Саудовская Аравия<sup>7</sup>, Ирак<sup>8</sup>,

1 Наиболее крупные страны: Египет – 83 млн, Судан – 41 млн, Марокко – 34,9 млн, Алжир – 34,2 млн, Ирак – 29 млн,

Саудовская Аравия – 28,7 млн, Йемен – 23,8 млн, Сирия – 20,2 млн,

2 Бахрейне, Катаре, Кувейте, ОАЭ, Омане, Саудовской Аравии.

3 Арабов, берберов, туркоманов, курдов, ассирийцев и т.д.

4 Мусульман и христиан.

5 Суннитов и многочисленных шиитских течений.

6 Например, между курдами и арабами, суннитами и шиитами в Ираке, между христианами и мусульманами в Ливане.

7 264,3 млрд баррелей или 21,9 % мировых запасов.

8 115 млрд баррелей или 9,5 %) мировых запасов.

9 101,5 млрд баррелей или 8,4 %), мировых запасов.

10 97,8 млрд баррелей или 8,1 %) мировых запасов.

11 В первую очередь Египет, Марокко, Иордания, страны Персидского залива.

Кувейт<sup>9</sup>, ОАЭ<sup>10</sup> [4]. Это дает большой приток валюты в нефтедобывающие страны, ресурсы для проведения модернизации, позволяет им играть видную роль в мировой финансовой системе. Но для нефтедобывающих стран существует проблема однобокого развития экономики, зависимости от импорта продуктов питания, машиностроительной продукции, высокотехнологичных товаров и т.д. Арабские государства испытывают недостаток водных ресурсов. От общего объема поверхностных вод, потребляемого в арабском мире, 57 % поступает на территорию арабских стран из сопредельных неарабских регионов. Водные проблемы создают сложности для промышленного производства и аграрного сектора. Кроме нехватки воды, развитие сельского хозяйства осложняет опустынивание территорий. В настоящее время пустыни занимают 68,4 % площади стран арабского мира[6]. Политические ресурсы арабских стран определяются наличием достаточно стабильных и консолидированных, хотя и авторитарных режимов в большинстве государств. Политический класс мыслит в глобальных категориях. Это выражается в осознании арабского мира как важнейшего фактора мировой политики, без которого невозможно решение энергетических проблем, борьба с терроризмом и урегулирование региональных конфликтов, а также в стремлении к солидарности арабских и исламских стран в действиях на международной арене. Что касается участия в наиболее влиятельных нерегиональных международных организациях, то только Саудовская Аравия входит в «двадцатку» ведущих государств мира. Тем не менее, арабские страны являются членами ЛАГ, Организации Исламская Конференция, а также ОПЕК и Организации арабских стран-экспортеров нефти. Несмотря на то, что ни одна арабская страна не входит в НАТО, ряд государств<sup>11</sup> поддерживают тесное многолетнее военно-политическое сотрудничество с США.

Сирия по ряду причин длительное время имеет особые отношения с Ираном, претендующим на роль регионального центра силы. Арабские страны Северной Африки и Западной Азии являются активными партнерами стран Европейского Союза в рамках разработки проекта Средиземноморского союза. Особенность арабского мира – отсутствие четко определенной страны-лидера, играющей роль полюса. Как пишет арабист Г. Г. Косач, арабское геополитическое пространство «многослойно и многоуровнево, с нечетко различимым центральным звеном и его столь же многослойной «периферией». Более того, это пространство условно и нестабильно. Оно способно создавать многочисленность конкурирующих «центров силы», вовсе не принадлежащих только к государствам-создателям ЛАГ, но и к их ближайшей периферии» [7]. На роль центров силы претендуют Саудовская Аравия и Египет. Однако и многие другие страны, в том числе и небольшие по населению, например, Катар и ОАЭ, время от времени выдвигаются на первый план при решении тех или иных проблем. Военные ресурсы арабского мира не позволяют им противостоять в случае возникновения внешней угрозы не только ведущим внерегиональным державам<sup>1</sup> но некоторым другим странам Ближнего и Среднего Востока<sup>2</sup>. При этом арабские страны характеризуются высоким уровнем военных расходов. Этим особенно отличаются государства, получающие сверх доходы от продажи нефти. Саудовская Аравия, Кувейт, ОАЭ тратят на закупку вооружений в среднем около 10 % ВВП[8]. Главным поставщиком вооружений выступают США. Они же являются гарантом безопасности своих союзников в арабском мире. С 1981 по 2006 гг. США оказали военные услуги и поставили вооружений в шесть арабских государств<sup>3</sup> на общую сумму в 72 млрд долл. По объему американских поставок на первом месте находится Саудовская Аравия, получившая оружие и военные услуги из США с 1981 по 2006 гг. в размере 57 млрд долл.[9]. Социальные ресурсы стран арабского мира характеризуются проблемами консолидации населения, а гражданское общество по причине его слабости почти не имеет влияния на внешнеполитический

процесс. Его роль ограничивается эпизодической активизацией в ходе протестов против действий Запада, т.е. выражается в реакции на какие-либо негативные события. В арабском обществе существуют проблемы с выбором политической, экономической и ценностной системы. Западная модель развития многих не устраивает, и предлагается альтернативный, исламский путь развития, что выражается в популярности среди населения оппозиционных исламистских партий, выступающих с лозунгом «Ислам – это решение!» Идеологические ресурсы отличаются отсутствием консолидации общества и политических элит вокруг какой-либо идеологии, как это имело место в 1950—1960-е гг. во времена массовой популярности в арабском мире идеологии арабского национализма. Попытка решить эту проблему приводит к разговорам об арабской и исламской специфике развития, неприемлемости слепого копирования западного либерально-демократического пути развития, необходимости учета национальной специфики при проведении модернизации. Репутационные ресурсы арабских стран выражаются в том, что в мире их воспринимают как проблемный регион. Представления об Арабском Востоке связаны с многочисленными вооруженными конфликтами, терроризмом, религиозным экстремизмом, социально-экономической отсталостью, коррупцией, проблемами с демократией, несоблюдением гражданских свобод. Научно-образовательный потенциал арабских государств значительно уступает не только Западу, но и многим развивающимся странам Азии. По данным ЮНЕСКО, в арабском мире насчитывается около 60 млн безграмотных, что составляет примерно 20 % от общего населения арабских стран. 6,5 млн детей школьного возраста лишены возможности получать начальное образование[10]. Наиболее сложное положение в этой сфере складывается в Йемене, Судане и Мавритании. Что касается высшего образования, то в арабских странах наблюдается процесс «утечки мозгов». Свыше 70 тыс. выпускников арабских вузов ежегодно уезжают за границу в поисках работы. Очень остро эта проблема стоит в Египте, Ливане, Сирии и Иордании. Около 54 % арабских студентов, уехавших за границу получать образование, предпочитают не возвращаться на

1 Пример победы коалиции НАТО во главе с США над Ираком в течение нескольких недель в 2003 г.),

2 Это подтверждают многочисленные поражения арабских армий в войнах с Израилем, быстрый захват президентом Ирака Саддамом Хусейном Кувейта в 1990 г., опасения арабских государств Персидского залива растущей мощи Ирана.

3 Саудовскую Аравию, Кувейт, Бахрейн, Катар, ОАЭ и Оман.

родину. В результате «утечки мозгов» страны Арабского Востока ежегодно теряют 1,6 млрд долл.[11]. Ситуация в научной сфере характеризуется почти полным отсутствием фундаментальных исследований. Наука страдает от недостаточного бюджетного финансирования, составляющего в среднем 0,2 % ВНП, слабой институциональной поддержки и неблагоприятных для научного развития социально-политических условий. Количество ученых не превышает 371 на миллион граждан, в то время как среднемировой уровень составляет 979 на один миллион.[12].

Таким образом, внешнеполитические ресурсы арабских государств характеризуются их небольшой долей в мировой экономике, высоким значением их потенциала как экспортёров энергоносителей, отсутствием сильного государства полюса в арабском мире и серьезной интеграции между арабскими странами в политической, экономической и военной сфере, что уменьшает возможность скоординированных действий этих стран. Арабские государства находятся в сильной зависимости от внерегиональных союзников, и в первую очередь от США, которые являются главными гарантами их безопасности. Положения конституций арабских стран, касающиеся внешней политики, определяют правовые рамки ее формирования и реализации. Внешней политике в основных законах арабских государств уделяется мало внимания. Значительная часть этих документов посвящена политической системе и ее составляющим, социальным гарантиям государства и его роли в экономике. В преамбулах конституций, как правило, сказано, что страны придерживаются миролюбивой внешней политики и в своей внешнеполитической деятельности тесно взаимодействуют с международными организациями, отстаивающими принципы мирного сосуществования, справедливости и равноправного сотрудничества. Например, в конституции Йемена сказано, что страна «подтверждает свою приверженность Уставу ООН, Всеобщей декларации прав человека, Уставу Лиги арабских государств и общепризнанным нормам международного права»[13]. В начале некоторых конституций делается своеобразный экскурс в историю, в котором повествуется о борьбе за независимость этих стран, освобождение от колониального режима. Подчеркивается особая ценность суверенитета. Ярким

примером является преамбула конституции Алжира, в которой говорится, что история этой страны – «это длинная цепь сражений за свою независимость»[14]. Очень идеологизированной во внешнеполитической части является конституция Сирии. В ее преамбуле говорится о необходимости «мобилизации всех возможностей арабских народных масс в их борьбе с сионизмом и империализмом».[15].

И здесь, как в большинстве случаев, явственно пропустило влияние “главного конфликта” - арабо-израильского, разъедающего стабильность в регионе уже многие годы. Сейчас, когда над ним уже не нависает тень конфронтация великих держав, сложились увлекательные возможности для стоowego и надежного урегулирования. Несомненно, мировому сообществу предстоит приложить еще немало усилия для выкорчевывания его исторических, морально-психологических, политических и других глубоких корней. Однако такая операция сейчас особенно необходима: Ближний Восток, а с ним и весь арабский мир, не может больше себе позволить тратить колоссальные силы и средства на бесплодное противостояние, во все большей мере противоречащее логике современного исторического процесса. Важно, однако, чтобы в регионе воцарился подлинный, а не эрзац-мир, попытки, навязать который арабам неоднократно предпринимались в 70-е в 80-е годы. Их результат общеизвестен: они не только не привели к успокоению обстановки, но в ряде случаев и обострили ее. Сегодня есть все предпосылки для нахождения исторического компромисса. Дело лишь за тем, чтобы каждая из сторон конфликта честно прошла свою часть пути к его разрешению, не стремясь переиграть другую.”.

В этой связи в обозримом будущем вряд ли есть основания ожидать какого-либо существенного нарастания, тем более скачка в развитии арабо-американских отношений, несмотря на то, что после войны в Заливе США вышли на первое место среди великих держав по влиянию на развитие региональной обстановки. Хотя Вашингтон сыграл ведущую роль в восстановлении мира и стабильности в зоне Персидского залива, недоверие к его политике в арабских столицах остается достаточно ощутимым. Этот факт признается и многими американскими экспертами, например, М.Индиком, С.Йетивом в других. Осторожность, проявляемая арабскими политиками в отношении США, подпитывается

опасениями критики слева и справа из лагеря националистических и клерикальных сил, к которой правящие режимы в арабских странах остаются весьма чувствительными.

